


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობიც ბეჭდ-  
უბი სიფყვაა, ცყდილებით და ჭბბბით ბუბ-  
თის გაფანა ყველა უჯარბისბბბაჟ უსამბაგულსია.

შაბათი, 8 ივლისი. 2017 წ. №136 (8273), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



## ვინ და რა უზღის ხელს „ოკუპირებული ტერიტორიების უხსახებ“ კანონის პლსრულებას?

4

## სასკოს განცხადება 2017 წლის თვით- მმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით

„საზომბადმბრბმბმ ინტერესიდან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ყველა და-  
ინტერესებულ პირს შეასხენებს არჩევნებში მონაწი-  
ლეობისთვის აუცილებელ პირობებს. პარტიებმა, რო-  
მელთაც სურთ არჩევნებში მონაწილეობა, უნდა გაი-  
არონ საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღ-  
ვრული შესაბამისი რეგისტრაციის პროცედურები, კერძოდ: პარტია,  
რომელიც რეგისტრირებული იყო 2016 წლის პარლამენტის არჩევნებში-  
სას (არჩევნებში მონაწილეობდა და-  
მოუკიდებლად ან საარჩევნო ბლო-  
კის შემადგენლობაში) ან არჩევნე-  
ბის დანიშნვის დღისთვის ჰყავს წარ-  
მომადგენელი საქართველოს პარ-  
ლამენტში, არჩევნებში მონაწილეო-  
ბის უფლების მისაღებად სათანადო განცხადებით მი-  
მართავს ცესკოს თავმჯდომარეს, ადგილობრივი თვით-  
მმართველობის არჩევნების დანიშნვის შემდეგ, არჩე-  
ვების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა“, - აღნიშნუ-  
ლია ცესკო-ს განცხადებაში.

„ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, მუნიციპა-  
ლიტეტის მერობის/საკრებულოს მაჟორიტარი წევ-  
რობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, მიმართავს შე-  
საბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ადგი-  
ლობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშ-  
ნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა.  
საინიციატივო ჯგუფის წარმომად-  
გენელმა შესაბამისი საარჩევნო კომი-  
სიას კენჭისყრის დღემდე არაუგვი-  
ანეს 50-ე დღისა, უნდა წარუდგინოს  
მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია  
(მხარდამჭერების საჭირო ხელმოწე-  
რათა რაოდენობა განისაზღვრება  
ცესკოს განკარგულებით არჩევნების  
დანიშნვის დღეს).“



არჩევნებზე დაკვირვების მიზნით,  
დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის პრო-  
ცესი იწყება არჩევნების დანიშნვისა და კენჭისყრის  
დღის ოფიციალურად გამოცხადებიდან. ადგილობრივი  
მა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საარჩევნო ადმი-  
ნისტრაციას რეგისტრაციის მიზნით უნდა მიმართოს  
კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა, ხოლო  
საერთაშორისო ორგანიზაციამ - არაუგვიანეს მე-7  
დღისა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო  
ორგანიზაცია, რომელსაც სურს არჩევნებზე მონიტო-  
რინგის განხორციელება, შესაბამისი წესით უნდა იყოს  
რეგისტრირებული კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს  
ერთი წლისა და მისი წესდება ითვალისწინებდეს არ-  
ჩევნების მონიტორინგს ან ადამიანის უფლებათა დაც-  
ვას“, - ნათქვამია განცხადებაში.

„პარტიამ, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი  
პარლამენტში ან არ იყო რეგისტრირებული 2016 წლის  
პარლამენტის არჩევნების დღისთვის, ცესკო-ს განცხა-  
დებით უნდა მიმართოს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე  
და მხარდამჭერთა სიის ნიშნის მიღებიდან 60 დღის  
ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოს, კვალიფი-  
ციურმა პარტიამ ცესკოს უნდა წარუდგინოს სულ ცოტა  
1000, ხოლო დანარჩენმა პარტიებმა - სულ ცოტა 25  
000 მხარდამჭერთა სია.“



## ტრამპი-პუტინის პირველი უხვადრის კაჭრი

დიდი ოცნების სამიტის კულისებში, დონალდ ტრამპი და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს შეხვდნენ, თუმცა კამერების გარეშე.  
რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადე-  
ბით, ისინი ერთმანეთს უბრალოდ მიესალმნენ და ხელი ჩამოართვეს.  
დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა ადგილობრივი  
დროით 15:45 სთ-ზე (თბილისის დროით 17:45 სთ) დაიწყო!

ბორის ფოცხვერაშვილის „სამტრედიული კაფიები“  
«მათრადი»  
ფეხსაცმელი მეორადი, ტანსაცმელი მეორადი,  
მანქანები მეორადი, ავეჯიყ კი მეორადი.  
მოლაპა შემოსული ცოლიყ გყავდეს მეორადი.  
არ აწუხებთ მასზე ფიქრი,  
არ აწუხებთ მასზე დარდი,  
რომ ქართველნი სამშობლოში, უკვე ვხდებით მეორადნი.

06 21 33

## თავის მართლებას, ნიადაგის და ჰაერის განმენდა სჯობს!

### შეიცავს თუ არა ტყვიას ქართული სანაღებლები?

5

21

## თითქოს დღეს დაენაროს...

„ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებთა დაუყოფელად, დიდაპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ღსინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის თავის სსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ვგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.“

ილია ჭავჭავაძე

## საპატრიარქოს კოზისია

საპატრიარქო საოკუპაციო ხაზის გადმონევაზა განცხადებას ავრცელებს:

„ცნობამ აღაშფოთა საქართველოს მოსახლეობა. სამწუხაროდ, უკვე არაერთხელ გავხდით მომე მსგავსი ქმედებისა. ვინაიდან ჩვენის მხრიდან ძალისმიერი წინააღმდეგობის განწევა შეიძლება დიდი პროვოკაციის მიზეზად იქცეს, აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ძალისხმევის გააქტიურება, რომ პროცესი შეჩერდეს და გამოსწორდეს. შევთხოვთ ღმერთს, დაიცვას ჩვენი ქვეყანა და აღუდგინოს მას თავისი საზღვრები“, - ნათქვამია განცხადებაში.

## კონსტანტინე გავსახურდია

...გულუბრყვილო  
რაინდები  
და ჭკუამოკლე  
პოლიტიკოსნი  
ვიყავით და  
პართ დღესაც?

### გიორგი მარგველაშვილი: არ იძალადოთ პოლიტიკურ პროცესებს

საპარტიო მარგველაშვილი გიორგი მარგველაშვილი პრემიერთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებას დაესწრო, ამერიკის ელჩს და ამერიკულ ხალხს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

გიორგი მარგველაშვილი მიესალმა პრემიერის წინადადებას საკონსტიტუციო პროცესში აქტიური დიალოგის შესახებ, მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს აქტიურად ჩაერთონ საკონსტიტუციო დიალოგში, და საპარლამენტო უმრავლესობას კი — არ იძალადოს პოლიტიკურ პროცესებზე.

„კაცობრიობის ისტორიაში ძალიან ცოტაა ისეთი ამადელეგებელი ტექსტი, როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაცია.“

ამ დეკლარაციის ავტორები ნათლად ხედავდნენ, რომ ადამიანი გაჩენილია თავისუფალი უფლებით, ღმერთისგან მიცემული უფლებით — ესწრაფვოდეს ბედნიერებას და ამ განცხადებას აფუძნებენ და ხელს აწერენ თავისი სიცოცხლით, თავისი ქონებით და თავისი ღირსებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკელმა ხალხმა 240 წელზე მეტი შეძლო ამ იდეალების მსახურება, ვართ ჩვენ აქ და ვზეიმობთ თქვენთან ერთად.

საქართველო კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს დემოკრატიის გაღრმავების მიმართულებით, ჩვენ ყურადღებით ვუბრუნდებით ამ იდეალებს.

ამიტომაც, მიმდინარე პოლიტიკური კონტექსტიდან — საკონსტიტუციო პროცესში, წინადადებას გიორგი მარგველაშვილის წინადადებას საზოგადოებასთან და პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური დიალოგის შესახებ.

მინდა, მოვუწოდო პოლიტიკურ ძალებს, პოლიტიკურ ოპოზიციას, საზოგადოებრივ ჯგუფებს, აქტიურად ჩაერთონ კონსტიტუციის განხილვის პროცესში, რათა კონსტიტუცია შედგეს როგორც თანხმობის, როგორც ერის გამაერთიანებელი დოკუმენტი, ისე, როგორც დამფუძნებელმა მამებმა დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან სულ რამდენიმე წელი-

ბს, პოლიტიკურ ოპოზიციას, საზოგადოებრივ ჯგუფებს, აქტიურად ჩაერთონ კონსტიტუციის განხილვის პროცესში, რათა კონსტიტუცია შედგეს როგორც თანხმობის, როგორც ერის გამაერთიანებელი დოკუმენტი, ისე, როგორც დამფუძნებელმა მამებმა დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან სულ რამდენიმე წელი-



წადში შექმნეს შეერთებული შტატების კონსტიტუცია.

მინდა, მოვუწოდო საპარლამენტო უმრავლესობას, არ იძალადოს პოლიტიკურ პროცესზე და აქტიურად დიალოგი აწარმოოს საზოგადოებასთან და პოლიტიკურ ოპოზიციასთან.

ასეთი აქტიური დიალოგით ჩვენ ვიქნებით ერთგული იმ ღირებულებების, რომელიც არსებობს ქართულ კულტურაში, იმ ღირებულებების, რომელთაც დღეს აღვნიშნავთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ მნიშვნელოვან დღეს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

### გიორგი კვიციანი: თქვენი ნებართვით, მე არ ნავალ დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტის განხილვის სიღრმეში

საპარტიო მარგველაშვილი აშშ-ს და ამერიკელ ხალხს მათთვის ყველაზე ძვირფასი დღესასწაული — ამერიკის დამოუკიდებლობის დღე მიულოცა. პრემიერმა საზეიმო მიღებაზე მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა აშშ-ის ელჩს საქართველოში იან კელის და ორი ქვეყნის 25-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობებზე ისაუბრა.

გიორგი კვიციანი აღნიშნა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ამერიკა იყო და არის საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის ყველაზე ერთგული მხარდამჭერი.

პრემიერის შეფასებით, სწორედ ამ მხარდაჭერის დემონსტრირებაა ახალი ადმინისტრაციის მოსვლიდან ასეთ მოკლე პერიოდში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის ვიზიტი საქართველოში, რომელსაც ქართული მხარე მოუთმენლად ელოდებოდა.

პრემიერმა გაიხსენა დიდი ამერიკელი პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის დღესაც აქტუალური სიტყვები — „თავისუფლებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ გიბოძებენ — ის უნდა მო-

იპოვო“ და აღნიშნა, რომ ქართველი ერის მთელი ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლაა.

„ჩვენ კარგად ვაქვს გაცნობიერებული, რომ დღეს ეს ბრძოლა დემოკრატიის დამკვიდრებასა და მისი ღირებულებების ერთგულედასა და მისი სწორედ ეს ასაზრდოებს ჩვენი ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას. თქვენი ნებართვით, მე არ ნავალ დღევანდელი პოლიტიკური კონტექსტის განხილვის სიღრმეში. ვფიქრობ, ეს პროცესი არის ძალიან მნიშვნელოვანი და ხელისუფლებამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საქართველოს დემოკრატიული წინსვლისთვის. მე მჯერა, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის საერთო ღირებულებებია ის, რაც ქმნის ჩვენს სანგრძლივ ორმხრივ ურთიერთობებს აშშ-თან და მტკიცე საძირკველს, რომელიც ამ ურთიერთობებს გააძლიერებს. ჩვენ განვიხილავთ აშშ-ის როგორც სტაბილურ გეოპოლიტიკურ მოკავშირესა და უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორს; პარტნიორს, რომელთანაც ჩვენ გვაქვს გლობალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრიორიტეტები, და რომლის მხარდაჭერა დღესაც, ისევე როგორც განვლილი 25 წლის განმავლობაში, უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის. მინდა, მივმართო ამერიკელ ხალხს: ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ამ სიკეთეს, დავიბრუნებთ დემოკრატიული ღირებულებებისადმი ჩვენი უპირობო ერთგულებით“, — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვიციანი აღნიშნა ასევე მადლობა გადაუხადა ორივე ქვეყნის ერთგულ ჯარისკაცებს, რომლებიც ერთად იცავენ ჩვენთვის ასე ძვირფას თავისუფლებას.

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პოზიტიური ახალი ამბავის არის!

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა პრესაში უბრადაა აბაშიძისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფიქრობს, რომ საბაჟო რეგულირების საკითხების მოგვარების კუთხით წინსვლაა.

„გვაქვს პოზიტიური ახალი ამბავი, ეს ეხება, მაგალითად, არქივებს, დაინტერესებულნი ვართ, რომ ურთიერთობები ჰქონდეთ. მე ვფიქრობ, რომ წავედიოთ წინ საბაჟო რეგულირების საკითხების მოგვარების კუთხით.“

ძალიან დიდი ხანია, ამაზე ვმუშაობთ. მე შექმნება შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკული რეალიზაციის ეტაპზე ვართ. მოვილაპარაკეთ ექსპერტების დონეზე შეხვედრებზე, თუ როგორ მოვახდინოთ ვაზბეგი-ლარსის გზის მოდერნიზება. ამის შესახებ ექსპერტებმა უნდა იმსჯელონ.

აღვნიშნეთ, რომ ვაჭრობის მაჩვენებელი ქვეყნებს შორის გაიზარდა. წელს პირველი 6 თვის მანძილზე, თითქ-

მის 40 პროცენტით გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა. ტურიზმზე პერსპექტიული მიმართულება“, — განაცხადა კარასინმა.

აბაშიძე-კარასინის ფორმატით მორიგი შეხვედრა გაუშინ პრესაში გაიმართა. 2011 წელს გაფორმებული საბაჟო მონიტორინგის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის საკითხის გარდა, შეხვედრაზე საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა სოფელ ბერშუეთში საოკუპაციო ხაზის გადმონევის საკითხიც დააყენა.

\* \* \*

პრესაში აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა დასრულდა. როგორც შეხვედრის შემდეგ კარასინმა განაცხადა, შეხვედრამდე გარკვეული ძალები სიტუაციის დაძაბვას ცდილობენ, რათა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას ხელი შეუშალონ.

„უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შეხვედრამდე სიტუაციის დაძაბვა ხდება. საქართველოში გარკვეულ ძალებს ეს სჭირდებათ, ვინც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზების წინააღმდეგი არიან. გვარებსა და სახელებს არ დაეხსახელებ. თქვენ იცით მათ შესახებ. ან სკანდალს აწყობენ, ან ვიღაც მიზანმიმართულად დააკეთებენ განცხადებებს. ეს აჩვენებს, რომ ყველას ინტერესში არ შედის, რომ ურთიერთობები განვითარდეს“, — განაცხადა კარასინმა.

### ირმა ინაშვილი პრეზიდენტს გადლოვას უხდის და თბა სირაძეს პარლამენტში სამსახურს სთავაზობს

„პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატი ირმა ინაშვილი პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ თბა სირაძეს პარლამენტში სამსახურს სთავაზობს.

„უბედნიერესი ვარ. თბა სირაძე შეწყალებულია. დიდი მადლობა პრეზიდენტს, დიდი მადლობა შეწყალების კომისიას, დიდი მადლობა ფიქრია ჩხრაძეს, ეკა მიშველაძეს, ანა დოლიძეს, ჩვენს საზოგადოებას, რომელიც მხარს უჭერდა თბას. ის უკვე თავისუფალია. როგორც დავებრდი, თბა სირაძეს ვთავაზობ, იმუშაოს პარლამენტში და გახდეს ჩემი თანაშემწე პარტიმარ ქალთა უფლებების დაცვის საკითხში“, — წერს ინაშვილი facebook-ის პირად გვერდზე.



### წერა და იკითხა!



ბაზაში „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც ყურადღებას არ იმუშრებს დევნილთა პრობლემებისადმი, კიდევ ერთხელ შევანუხებ და ამ საკითხთან დაკავშირებით ვითხოვ განმარტებას, ვისგანაც ჯერ არს:

### ფისი მნამს, ბოლო მაკვირვებს...

დღეს არ ხდება აფხაზეთიდან გამოძევებულების ხელახლა გაძევება ფოცხო-ენერში. მინდა, მჯეროდეს, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში არავინ აკადრებს დევნილებს ისეთ უმსგავსობას, რაც გავგაჩნია „წეროვანის დასახლების“ სახით, რომელსაც თავის დროზე ხალხმა ირონიით „ვანოგრადი“ უწოდა.

დღეს, ალბათ უკეთესი ვითარებაა, თუმცა, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დევნილები, რომლებსაც დევნილთა სამინისტრომ ერთიდან ექვს ქულამდე მიაკუთვნა, ბინას კიდევ მეოთხედს დასაუკუნე ვერ ელირსებინან. არითმეტიკა ხომ ყველამ ვიცით.

ერთ შეუსაბამობას მინდა, მივაპყრო საკითხით დაინტერესებული საზოგადოების ყურადღება. ამ რამდენიმე ხნის წინათ დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, ახალი კრიტერიუმები უნდა შევიმუშაოთ. კერძოდ, მინისტრმა თქვა ასეთი რამ: დევნილის სტატუსის მქონე ერთი პიროვნება გვყავდა, რომელიც კერძო ბიზნესს ეწეოდა და მისი წლიური შემოსავალი სამი მილიონი ლარი იყო, მიუხედავად ამისა, დევნილთა დახმარებას 45 ლარის ოდენობით მინც იღებდაო. ამიტომ კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანა საჭიროო. ცვლილებები დევნილ-

თა სასარგებლოდ უნდა გაკეთებულიყო. ასე არ არის? თუმცა, მოხდა კი სულაც პირიქით. ხელთ მაქვს დევნილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც მატყობინებენ, რომ მე ერთ-ნახევარი ქულა ჩამომეჭრა იმ მოტივით, რომ (ცვლილებები): „გაუქმდა კრიტერიუმი „შემოსავლის მაჩვენებელი“. შეუსაბამისად თქვენს ოჯახს აღნიშნულ კრიტერიუმში მოაკლდა მინიჭებული 1,5 ქულა.“

ანუ რა გამოდის, „ცვლილებების“ შემდეგ სამინისტროს არ აინტერესებს, შენ მილიონერი ხარ თუ არაფრის მქონე. მეტსაც გეტყვით, რომელიმე მილიონერმა „დემილიმა“ შეიძლება არაფრის

მქონე დევნილზე ადრეც კი მიიღოს ბინა. ბინის მიღება ხომ სწორედ ამ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული და შემოსავლების საკითხი განა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არ უნდა იყოს?

თუ შემოსავლების საკითხს არ განვიხილავთ, ის მილიონერი კი არ დაგისჯიათ, პირიქით, მისი საქმე გაგიკეთებიათ, რადგან მდიდარი და ლარები, არაფრის მქონე და ყველაფრის მქონე ერთმანეთთან გაგითანაბრებიათ.

ბატონო მინისტრო, მილიონი გასჭირვება გვაქვს გაჭირვებულ დევნილებს და მთლად სხვის მილიონებს ნუ შეგვწირავთ.



ირმა ინაშვილი

# ბუკიკიოს ეფექტი და ოპოზიციის სიბრძნე



**ბარლუცივილი** უმცირესობა შერეულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, უმრავლესობას საკუთარ ვარიანტს სთავაზობს. შედეგად თუ არა სანატრელი კონსენსუსი, კვლავ გაურკვეველია, რადგან როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ ერთი პარტიის წინადადებაა. რას ფიქრობენ საპარლამენტო უმცირესობის სხვა პარტიები და პრეზიდენტი, გამოცანად რჩება, ისე როგორც მთელი საკონსტიტუციო ბატალიონი. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე ექსპერტი რამზა საშხმარაძე გვსაუბრება.

— კონსტიტუციასთან დაკავშირებით კვლავ ქაოსური სიტუაციაა — ახალი ვერსია ვრცელდება, თითქოს უმცირესობა ცვლილებების საკუთარ ვარიანტს სთავაზობს ხელისუფლებას და იმ შემთხვევაში დათანხმდება ცვლილებებს, თუ მაჟორიტარების კვოტა შემცირდება. თუმცა, თავად უმცირესობა ამ ფაქტს უარყოფს. იქნება შთაბეჭდილება, თითქოს რაღაცაზე მიდის ვაჭრობა, მაგრამ კონკრეტულად ვის რისი მიზეზია სურს, ძნელი გასარკვევია. როგორ ფიქრობთ რა პროცესს ვადავებთ თვალს?

— მგონია, რომ ბუკიკიოს ეფექტთან გვაქვს საქმე. ოპოზიციამ ნახა, რომ ბუკიკიომ და ვენეციის კომისიამ გარკვეული კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა, ცდილობენ ამ კრიტიკული შენიშვნების გამოყენებით ნახონ მოგება — ამის საფუძველზე წამოაყენონ მოთხოვნები. ოპოზიციას გაუჩნდა შანსი და ბუნებ-

რივია, შეეცდებოდა, ამ შანსის ბოლომდე გამოყენებას.

— თუმცა კონკრეტულად რას ითხოვს ოპოზიციის გაუგებარია. პირველად ახლა გაიხსნა, რომ მაჟორიტარების კვოტის შემცირება სდომებიათ. თქვენთვის მინიმუმ თუ არის ცხადი, სინამდვილეში რა შეიძლება უნდადეს ოპოზიციას?

— კონკრეტულად არ ვიცი. რასაც აცხადებენ არის ის, რომ ჩვენთვის მიუღებელი იქნება, თუ შემდეგი არჩევნებისთვის არ გადავალთ სხვა საარჩევნო სისტემამდე — ეს არის ერთ-ერთი პუნქტი.

— დავეუფოთ, ეს მათი პოზიციაა, მაგრამ რისთვის უნდათ, ეს არის გაუგებარი, რადგან ამ საარჩევნო სისტემით უკეთესი შედეგის მიღების შანსი აქვთ — წარმოიდგინეთ, მთელი მაჟორიტარული კვოტა ოპოზიციამ რომ აიღოს, ეს უკვე ნახევარი პარლამენტია.

— ამ გზით ის არ წავიდა, ამ დროს ითხოვს საარჩევნო სისტემას, რომელიც ვერც ვართ ადგილს ვერ აიღებთ, ანუ ოპოზიციური პარტიები, გარდა „ნაციონალისა“, რომელთაც შეიძლება კიდევ აიღონ გარკვეული რაოდენობა, პროპორციული საარჩევნო სისტემით სერიოზულ შედეგს ვერ მიიღებენ.

ამიტომ, ეს ჭირვეულობას უფრო მავნებს, ვიდრე პოლიტიკურ ბრძოლას — მათ სურთ განიტანონ ეს საპრობლეო, თუმცა ხელისუფლების მხრიდან თანხმობის შემთხვევაში საერთოდ მოისპობა მათთვის შანსი.

— პრეზიდენტის პოზიციაც დაახლოებით მსგავსია, ხან რას ითხოვს, ხან — რას გამოდის, რომ ყველანი მხოლოდ პრინციპებისთვის იბრძვიან და არა უკეთესი კონსტიტუციისთვის?

— თქვენს კითხვას ბოლოში კითხვის ნიშნის ნაცვლად ძახილის ნიშანს დავუსვამდი და ასე გიპასუხებდით: ამით რეიტინგს შეიქმნიან? რაში სჭირდებათ ძალების მოსინჯვა?

ხედავენ, რომ რეიტინგს კარგავენ და სარგებლობენ იმ მეთოდებით, რითაც 25 წლის განმავლობაში ოპოზიციის სარგებლობდა — დაპირისპირება ხელისუფლებასთან მათთვის მომგებიანია, იმდე-

ნად, რამდენადაც, პასიურები რომ იყვნენ და ხმა არ ამოიღონ, სულ დაიკარგებინან, ეთერშიც ვერ გამოვლენ — სარგებლობენ ყურნალისტური არხებით, ჩანან სხვადასხვა ტელევიზიებში, გაზეთებში. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას მთლად დაავიწყდება მათი არსებობა.

— დავეუფოთ, კონსტიტუცია არის ის საფუძველი, რომელსაც ამჟამად ეკიდებიან, მაგრამ თუ საერთოდ ჩაიშალა საკონსტიტუციო პროცესი, მერე სად მიდიან? რას აკეთებენ?

— ასეთი მაგალითი რამდენჯერმე გვქონდა. როდესაც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა გადაწყვიტა, შეენწყვიტა პოლიტიკური აქტიურობა, ის დაიკარგა პოლიტიკური ველიდან. სხვა შემთხვევებიც გვახსოვს, როდესაც საკმაოდ ძლიერი პარტიები დაიკარგნენ. პოლიტიკურ ცხოვრებას აქვს თავისი კანონები და თუ სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა, საზოგადოების ცნობიერებიდან გაქრება.

დღესაც საკმაოდ ბევრი პარტია ამისი კანდიდატი და რაც შეუძლიათ, ხმა მალა ყვირიან. და, რაც უფრო ხმა მალა ყვირიან, მით უფრო ეცემა მათი რეიტინგი, რადგან მოსახლეობა ვერ ხედავს ლოგოს მათ ქმედებაში, მოთხოვნებში. ეს ალოგიკურობა ქცევაში კი, ხიბლს არ მატებს პოლიტიკოსებს.

— რაც შეეხება ხელისუფლებას, როგორც არ უნდა წარმართოს ეს პროცესი, მინც მის წინსვლაზე უნდა იყოს ყურადღება, მაგრამ მთელი მხარე სრული გაურკვეველობაა. როგორ ფიქრობთ ოპოზიციის სათანადოდ რატომ არ აფასებს ამ სიტუაციას?

— ვფიქრობ, რომ ოპოზიციის მართლაც დიდ სამსახურს უწევს ხელისუფლებას თავისი გაუგებარი ქმედებით. ხელისუფლებას ასეთ სიტუაციაში შეუძლია კიდევ უფრო გაზარდოს თავისი რეიტინგი — რაკი წინასაარჩევნო პერიოდი და რეიტინგებია აქტუალური.

რა პრეტენზიაც დღეს ხელისუფლების მიმართ ისმის, არის ზედმეტი სირბილე, უხერხემლობა, დამთმობლობა. ამიტომ ეს პროცესი ასე რომ გაგრძელდეს, როგორც მიდის, ბევრს არაფერს დაკარგავს ხელისუფლება, მაგრამ თუ ჭკვიანურად მოქცევა, დამატებითი ქუ-

ლების მიღებაც შეუძლია. თუ ანახა საზოგადოებას, რომ მას ოპოზიციასთან არგუმენტირებული პოლიტიკური ბრძოლა შეუძლია, ეს საზოგადოების სიმპათიებს უფრო მოუტანს.

— შეუძლია ხელისუფლებას არგუმენტირებული ბრძოლა?

— ამ უნარს დებატები ავლენს ხოლმე. ჯერჯერობით რა დებატებიც იყო, მთლად გამართულად ვერ გამოიყურებოდა, თუმცა საგულისხმოა, რომ ის აგრძელებს ბრძოლას. მაგალითად, მერობის კანდიდატად მან ძლიერი ფიგურა წამოაყენა, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ჯერ კიდევ იბრძვის საკუთარი პოზიციების გამყარებისთვის.

— ეს კარგია თუ ცუდი?

— დავეუფოთ, გაიმარჯვა ერთმა პარტიამ, რას მივიღებთ ამით? — ეს წამგებიანი იქნება თვითონ პარტიისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

— სწორედ ამიტომ ხომ არ ცდილობენ საკონსტიტუციო პროცესის ჩაშლას, რომ ამას დაწესებული ბარიერები თუ მიშვევს როგორმე, მერე უფრო მეტი იქნება სალაპარაკო, თუნდაც ერთპარტიულობაზე?

— ბარიერის დანების საკითხი უკვე მიღებულია, მაგრამ ესეც ბევრს არაფერს შეცვლის, რადგან ოპოზიციური პარტიები ამ ბარიერს თუ გადალახავენ, პარლამენტში მოხვებიან 2-2 კაცი. „პატრიოტთა ალიანსიც“ არის 6 კაცი თუ შესული, მაგრამ ეს ცვლის კლიმატს? იგივე მოხდება სხვა პარტიების შემთხვევაშიც. ბარიერი კი არ უნდა დაენიშნოს, არამედ მაქსიმალური მობილიზაცია უნდა მოხდინათ, რომ 5%-იანი ბარიერი გადაელახათ მეტი ხმებით.

ოპოზიციის ყველაფერზე ზრუნავს გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ხმები აიღოს — კანონის მანიპულაციით მიიღოს ხმები და არა მოსახლეობის მხარდაჭერით.

— ანუ როგორც არიან მიჩვეულები?

— როგორ გითხრათ, „ნაციონალების“ გარდა გამარჯვება არავის უნახავს და ნაციონალებმაც, როდესაც გაიმარჯვეს, სულ სხვა შემადგენლობა ჰქონდათ, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა.

ესაუბრა  
ლალა ზირაძე

## ყველაზე ეფექტური ფინანსთა სამინისტრო ყოფილა!..

მშველზე ეფექტური ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო უწყება ფინანსთა სამინისტროა, — ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც სააგენტო „ჯორჯიან ბიზნეს ენდ პოლიტიკალ ინსაითმა“ საკუთარ საინფორმაციო — ანალიტიკურ პორტალზე ჩაატარა. გამოკითხვა 2017 წლის ივნისში განხორციელდა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობამ — 38%-მა ყველაზე ეფექტურ ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო დაწესებულებად დემიტრი ქუშიშვილის უწყება, ფინანსთა სამინისტრო დაასახელა. მერე და მესამე პოზიციებზე რესპონდენტებმა საქართველოს ეროვნული ბანკი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაასახელეს.

## მუსტაფა ემრა ჩაბუას და მისი ოჯახის წევრებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ, — ამის შესახებ ყურნალისტებს ჩაბუას ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, სამინისტროს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდება.



მუსტაფა ემრა ჩაბუა ქურთების ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალ-

დებით 24 მაისს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 3-თვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა 25 მაისს შეუფარდა.

## სასამართლომ მიხეილ თათრიშვილი გააპარტოლა

მოსამართლომ გიორგი დარბაჯელიმ ნარკოდანაშაულის საქმეზე დაკავებული მიხეილ თათრიშვილი გააპარტოლა. 6 ივლისს სასამართლო პროცესზე მოსამართლემ მხარეების დასკვნითი სიტყვები მოისმინა, ასევე საბოლოო სიტყვა ბრალდებულმა მიხეილ თათრიშვილმა წარმოთქვა.




მიხეილ თათრიშვილი, მოსამართლის გადაწყვეტილებით, სასამართლო დარბაზიდან გირაოს სანაცვლოდ 27 ივნისს გათავისუფლდა. მას აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა 10 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის შვილის ანა მარგველაშვილის და სიძის მინდია გოგოჭურის მეგობარი მიხეილ თათრიშვილი 17 მარტს დააკავეს. მას 18 აბი „სუბოტექსის“ შექმნა-შენახვაში ედებოდა ბრალი.

## არასრულწლოვანთა ბარჯუნის ბრალდებით დაკავებულს პატიმრობა შეუფარდა

06 წლის ორ მოქალაქეს, არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების საქმეზე, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

საქმის პროკურორის თქმით, ისინი მოზარდებმა და მათმა დედამ ამოიცივნეს. ადვოკატები აპირებენ, სა-

ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრონ. ინდოეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე სამართალდამცავებმა 4 ივლისს დააკავეს. საქმე ეხება ერთი კვირის წინათ ვარკეთილში მომხდარ შემთხვევას. მოზარდების დედა და ასევე ერთი ახლობელი აცხადებდა, 4 ბავშვი ინდოეთის მოქალაქეებმა მოტყუებით სახლში შეიყვანეს, ტანსაცმელი გახადეს და ფოტოები გადაუღეს... მათ ბრალად წარდგინილი აქვთ სსსკ-ის 138-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ჩადენილი ძალადობით და ჯგუფურად, წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკთან მიუღწევლად. ამ მუხლისთვის გათვალისწინებულია 11-დან 15 წლამდე პატიმრობა.



ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრონ. ინდოეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე სამართალდამცავებმა 4 ივლისს დააკავეს. საქმე ეხება ერთი კვირის წინათ ვარკეთილში მომხდარ შემთხვევას. მოზარდების დედა და ასევე ერთი ახლობელი აცხადებდა, 4 ბავშვი ინდოეთის მოქალაქეებმა მოტყუებით სახლში შეიყვანეს, ტანსაცმელი გახადეს და ფოტოები გადაუღეს... მათ ბრალად წარდგინილი აქვთ სსსკ-ის 138-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ჩადენილი ძალადობით და ჯგუფურად, წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკთან მიუღწევლად. ამ მუხლისთვის გათვალისწინებულია 11-დან 15 წლამდე პატიმრობა.

## ტურიზმის პროვნილი ადმინისტრაციის ფესტივალთან კავშირს უარყოფს

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეხმაურება და აცხადებს, რომ მოსკოვში გამართულ ფესტივალთან კავშირი არა აქვს.

„საზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ ფესტივალთან ადმინისტრაციას არანაირი კავშირი არ აქვს. უწყებებიდან არც ფინანსური და არც რაიმე სხვა ტიპის მხარდაჭერა არ ყოფილა, არც საგზურები გაგვითამაშებია“, — აცხადებენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელები.

გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში ფესტივალის „მთელი საქართველო ერთ ფლაკონში“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.



# ვინ და რა უფლის ხელს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის აღსრულებას?

**საძარტველში** „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის დარღვევასთან დაკავშირებული ახალი სკანდალი აგორდა. მოსკოვის ექს-მერ იური ლუჟკოვის შემდეგ მისი „გმირი“ ამჯერად რუსი ჟურნალისტი, რადიოსადგურ „Говорит Москва“-ს მთავარი რედაქტორი, გაზეთ „Комсомолская правда“-ს დირექტორი და საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ მამონტოვი გახდა.

ბატონი მამონტოვი წარსულში საქართველოდან გააძევეს: 2009 წელს ის და მისი მეგობარი – ასევე ცნობილი ჟურნალისტი მაქსიმ შვეჩენკო თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან მოსკოვში გააბრუნეს. მაშინ დეპორტაციის მოტივად ცოტა ხნით ადრე ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტი, ანუ 2008 წელს მიღებული „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის დარღვევა დასახელდა.

თუმცა, როგორც ირკვევა, ამას მამონტოვისთვის სოხუმში ჩასვლის სურვილი არ წაუთმევია. და აი, 2014 წელს – საქართველოს უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში მან კვლავ დაარღვია კანონი: თუ თავად მამონტოვის მიერ თბილისში ბოლო ვიზიტისას ესოდენ ნაქებ სააგენტო „Спутник-Грузия“-ს დაუჯერებთ, 2014 წლის აპრილში მამონტოვი სოხუმში გამართული რუსულ-აფხაზეთი მედია-ფორუმის ერთ-ერთი სპიკერი იყო.

აქვე იტყვიან, რომ ეს ფორუმი იმავე ორგანიზაციის – რუსეთის პოლიტოლოგიურ ცენტრ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მიერ იყო ორგანიზებული, რომლის ეგიდითაც წელს საქართველოში სამხრეთკავკასიური მედიაფორუმი ჩატარდა. თავად მამონტოვიც და მისი თანმხლები პირიც – რუსეთის პრეზიდენტის სპეცნარმომადგენელი საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის საკითხებში, კულტურის ექს-მინისტრი მიხეილ შვიდკოი წელს საქართველოს სწორედ სამხრეთკავკასიური მედიაფორუმის საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვივნენ.

როგორც ვხედავთ, ბატონი მამონტოვი ქართულ კანონმდებლობასთან, ასე ვთქვათ, არ მეგობრობს. მიუხედავად ამისა, 2017 წელს მან ქვეყანაში სრულიად უპრობლემოდ, ყოველგვარი შეფერხების გარეშე შემოაღწია.

ოფიციალური თბილისი კვლავ უყრუებს და კანონის დამრღვევთა დაუსჯელობის გასამართლებლად არგუმენტებს ეძებს.

იური ლუჟკოვის შემთხვევის მსგავსად (2017 წლის მაისში მან დაუბრკოლებლად შეძლო საქართველოში ჩამოსვლა და ქვეყნის დატოვებაც, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს კანონდარღვევით იმყოფებოდა ოკუპირებულ აფხაზეთში), საქართველოს ხელი-სუფლება ამჯერადაც დუმდა და რომ არა ქართულ მედიაში ამტყდარი ხმაური, ეს ვიზიტი ქვეყნის მოსახლეობისთვის ალბათ, შეუმჩნეველად ჩაივლიდა. უკვე ჟურნალისტების „შეტევის“ მოგერიების მცდელობისას კი მთავრობამ რუსი სტუმრების ვიზიტთან ყოველგვარი კავშირი უარყო და განაცხადა, რომ მათი ჩამოსვლის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მედიის წარმომადგენლები შს-ში გადაამისამართა. როგორც მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ განაცხადა, „საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა, ყველა უწყვეტ კანონის ფარგლებში მოქმედებს, ასე მოხდება ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, რეჟიმის ნებისმიერი სახის დარღვევის დადგენა კი შესაბამისი ორგანოების საქმეა“.

თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იური ლუჟკოვის შემთხვევაში ნაცადი სქემით იმოქმედა და განაცხადა, რომ „ვლადიმერ მამონტოვის მიმართ საქმის აღძვრა შეუძლებელია“, რაშიც, ტრადიციისამებრ, წინა ხელისუფლება დაადანაშაულა:

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი პირის ქვეყანაში არდაშვებას არ ითვალისწინებს. დადგენილი წესების თანახმად, თუ პირმა ეს კანონი დარღვევა, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება და დამრღვევი პასუხისგებაში მიეცეს. ამასთან, დამრღვევის მიმართ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც თავის დროზე (2009 წელს) არ გაკეთებულა. გარდა ამისა, მამონტოვის პასპორტში არ ჰქონდა შესაბამისი შტამები, რომელიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მის ყოფნას დაადასტურებდა. შესაბამისად, მესაზღვრეს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, იგი საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოეშვა“.

მამონტოვის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მეორედ, უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში, 2014 წელს დარღვევის ეპიზოდთან დაკავშირებით კი შს-მ მიჩუმათება ამჯობინა.

თავად მამონტოვმა, როცა ადგილობრივმა ჟურნალისტებმა ინახულეს, საერთოდაც დაუფარავი სიტყურე არჩია. ონლაინ-გამოცემა „COBA“-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ აფხაზეთში ბოლოს ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე, ანუ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მიღებამდე იმყოფებოდა, რომ დღემდე ვერ ხვდება, რატომ გააძევეს საქართველოდან 2009 წელს და ვერც იმას, რა აქვს საერთოდ დარღვეული.

რაც შეეხება მის თანმხლებ პირს – ბატონ შვიდკოის, როგორც შემდგომში გაირკვა, საქართველოს ხელისუფლების ერთ წარმომადგენელს ის ვიზიტის დროს მაინც შეხვდა და ეს პრემიერ-მინისტრის სპეცნარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე იყო. თუმცა როგორც ეს უკანასკნელი ირწმუნება, შეხვედრა კერძო და არა ოფიციალურ ხასიათს ატარებდა და წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა.

რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი, რომლითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ოფიციალური თბილისის გვერდის ავლით შესვლა და ეკონომიკური საქმიანობა უნდა შეზღუდულიყო. ამ კანონის დარღვევა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით (სასჯელის ზომას მოსამართლე ადგენს).

საქართველოს ახალ ხელისუფლებას ეს კანონი იმთავითვე არ მოსწონდა, მით უფრო, რომ კრემლს არაერთხელ შემოუთვლია თბილისისთვის, „გააუქმეო“. ამ პირობებში სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი, რომელსაც ახალმა ხელისუფლებამ თანამდებობის სახელწოდება შეუცვალა (სეპარატისტული რეჟიმებისა და კრემლის გალიზიანების თავიდან აცილების მოტივით მას „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი“ ეწოდა), პერიოდულად აყენებდა ამ კანონის გაუქმების თეზისს, შერბილების საკითხს, თუმცა ოპოზიციური სპექტრისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის წინააღმდეგობის გამო სანადელს ვერ აღწევდა.

კანონზე მეორე მასირებული შეტევა საქართველოს ახლადარჩეულმა პარლამენტმა წამოიწყო, თუმცა ხელისუფლებას კოვზი ამჯერადაც ნაცარში ჩაუფარდა.

ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ჩანს, ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონთან საკანონმდებლო დონეზე ბრძოლას თავი დაანება, თუმცა მოქმედი კანონის აღსრულების პოლიტიკური ნება „მიაძინა“. ამ სტატიის დასაწყისში მოყვანილი ფაქტები სწორედ ამას მოწმობს და სხვა ახსნას ძნელად თუ მოუძებნი.

სენეხულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კითხვები „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსაც“ (IDFI) გაუჩინა. ორგანიზაცია დაინტერესდა, რამდენად ეფექტურად სრულდება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი და მის აღსრულებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

ამ უკანასკნელის მონაცემებით, 2009-2016 წლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესი უცხო ქვეყნების მოქალაქეების მიერ სულ 363 შემთხვევაში დაირღვა. ამასთან, სტატისტიკა მიანიშნებს, რომ რეგისტრირებული დარღვევების რაოდენობა მცირდება (2009 წელს 78 შემთხვევა იყო, ხოლო 2016 წელს – მხოლოდ 19). რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობას, სამინისტროს მიერ 8 წლის განმავლობაში მხოლოდ 4 მსგავსი დანაშაულია რეგისტრირებული.

ამგვარად, საქართველოს ხელისუფლების ახალი ნაყრუება-მიჩუმათების ტაქტიკაც ქვეყანაში უკვე შეამჩნიეს და თუ „ქართული ოცნების“ მსგავსი ქვეყნით შეფუთიანებული, საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი რუსი სტუმრები კვლავაც გააგრძელებენ ქვეყანაში შეუფერხებლად თარეშს, ხელისუფლებას საკითხის გადაჭრა ვეღარ ასცდება. „ქართულ ოცნებას“ რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს: ან კრემლის ნება გაითვალისწინოს და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი გააუქმოს, ან – ოპოზიციისა და ხალხის და კანონის აღსრულება დაიწყოს ისე, როგორც თავმოყვარე სახელმწიფოს შეეფერება.

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“.**  
მახალა მოზაძე ულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებულ ფარგლებში, ფრიდრის ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით.

## მსოფლიო ოკუპაციის შესახებ ხელისუფლება მესამე სექტორის მოსაზრებას არ ეთანხმება

**არასამთავრობო ორგანიზაციები მცოცავი ოკუპაციის გაგრძელების გამო უშიშროების საბჭოს მდივანთან შეხვედრას გეგმავენ.**

მესამე სექტორი სახელმწიფო სამსახურებისგან რუსეთის მიმართ ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს და ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ მათი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში უფრო მკაფიო გახდეს.

ამასთანავე, ოპოზიციის წევრები მოუწოდებენ ხელისუფლებას, გარდა უშიშროების საბჭოს სსდომაზე საკითხის განხილვისა, ამ თემას-

თან დაკავშირებით ყველა საერთაშორისო ფორმატი გამოიყენონ.



თუმცა, მმართველი გუნდი მცოცავი ანექსიის საკითხის უშიშროების საბჭოს ფორმატში განხილვას საჭიროდ არ მიიჩნევს. ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი მამუკა მდინარაძე მიიჩნევს, რომ საბჭო ის ადეკვატური არ არის, სადაც ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს.

**„ტყვია ქართულ სანელებლებში“**, — ასეთი შინაარსის ბრალდება გაისმის ამერიკაში ჩატანილი ქართული პროდუქციის მიმართ. ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის პრეს-სპიკერის კაროლინა როდრიგესის თქმით, ამერიკელები უკვე მრავალი წელია, ამოწმებენ ქართული სანელებლების უამრავ ნიმუშს და ზოგიერთ მათგანში გამოუდგებოდა პოლიორბინი, რომელიც მალაქის ტყვიის შემცველობას. სულ ბოლოს ამ ტიპის კვლევა ამერიკელებმა 2017 წელს ჩაატარეს.

„ამერიკის ხმასთან“ საუბრისას კაროლინა როდრიგესი ირწმუნება, რომ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა იმპორტირებულ ქართულ პროდუქციაში ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის გამო არაერთხელ მიმართა საქართველოს გენერალურ საკონსულტაციო ნიუ-იორკში, მათ შორის, 2011-2015 წლებშიც, რათა მათ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ და ამ სახიფათო ინფორმაციის თაობაზე ეცნობებინათ სუნელების სავარაუდო მომხმარებლებისთვის, ასევე, საქართველოს შესაბამისი უწყებებისთვის პროდუქციის გამოსწორების მიზნით.

აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ნორმით, ტყვიის შემცველობა საკვებ პროდუქტში, კერძოდ, ტყვიის შემცველობა, არ უნდა აღემატებოდეს 0,1 ppm-ს. ამ დროს კი საქართველოდან ჩატანილი შეზავებული სუნელების ნიმუშებში ტყვიის შემცველობა ზოგჯერ ძალზე მაღალია და 27 000 ppm-ს აღწევს.

კაროლინა როდრიგესის თქმით, ნიუ-იორკში დღემდე დასტურდება ტყვიით მონამუშავების შემთხვევები საქართველოში ნაყიდ, ან საქართველოდან გაგზავნილ სუნელთა გამო.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ტყვიას, ამ მიმომ ლითონს და კანცეროგენურ, ანუ კიბოს პოტენციურად გამომწვევ ნივთიერებას, ადამიანის ყველა ორგანოს დაზიანება შეუძლია, მაშინ გამოდის, რომ კაროლინა როდრიგესის ბრალდება სერიოზულია. ტყვია აღწევს თავის ტვინში, ღვიძლში, თირკმელში, ძვლებში, კბილებში, ორსულის ორგანიზმში ნაყოფს რისკის ქვეშ აყენებს და ნლამდე ბავშვისთვის უაღრესად საშიშია. ტყვიით მონამუშავის პროცესი



## შეისაპს თუ არა ტყვიას ქართული სანელებლები?

თავდაპირველად შეუძინველად მიმდინარეობს, ტყვია არის ნიადაგში, წყალში, დაბინძურებულ ჰაერში, საკვებში, კოსმეტიკურ საშუალებებში, ინდუსტრიულ საღებავებში და სხვა.

**მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ეტიკის“ ხელმძღვანელი ანდრეას შინაბელიძე** აცხადებს, რომ ტყვიის შემცველი ქართული სანელებლების შესახებ ინფორმაცია ორი-სამი წლის წინანდელია და, უბრალოდ, კვლევა ხდება ამ ინფორმაციის განახლება, რაც ვიღაცას ზედმეტი აუთოტაჟისთვის სჭირდება.

ამირან შენგელიას თქმით, ქართულ სანელებლებში ტყვია რომ აღმოჩნდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ სანელებლები ან ტყვიის კონტეინერში იყო შენახული, ან ისეთ ადგილას მოყვანილი მწვანე მარცხენა, სადაც მინა დაბინძურებულია.

**„მოგესვენებათ, სუნელები მწვანე მარცხენა მზადდება. ჩვენი მწვანე მარცხენა ნატურალურია, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს სასუქები. სანამ უცხოელები აქაურ სასუქებს წაიღებენ, ათას შემონახვას გადი-**

**ან. მართალია, ჩვენ არ გვაქვს ლაბორატორია, რომელიც ტყვიისა და მძიმე მეტალების შემცველობას ამოწმებს, მაგრამ ამერიკელებმა ნიმუშები რომ წაიღეს, ჯერ შეამოწმეს და ამის შემდეგ იყიდეს სუნელები. უცხოელები სკრუპულურად უდგებიან ასეთ საკითხებს. ეტიკეტზე სადმე გრამატიკული შეცდომა თუ იპოვეს, ან აღმოაჩინეს, რომ ანბანის რომელიმე ასო დიდი ნიშნით არ იწყება, იმ პროდუქციის საერთოდ არ იყიდებიან და ასეთ საეჭვო პროდუქტებს წაიღებდნენ საქართველოდან? ჩვენს ნიადაგში მოყვანილი მწვანე მარცხენა და მისგან მიღებული სანელებლები უსაფრთხოა. უბრალოდ, ეს ბრალდება ჯერ კიდევ 2015 წელს გაისმა, თითქოს ჩვენს სუნელებში იყო ტყვია. შემდეგ ამერიკელებმა ჟურნალისტებმა ეს თემა კვლავაც ამოქექეს. ეს საკითხი გადავამოწმე და სურსათის უვნებლობასაც არა აქვს ამის შესახებ ინფორმაცია. ასე რომ, ეს ძველი ინფორმაციაა“**, — ამბობს ამირან შენგელია.

საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი **თამარ შიკაძე**

აცხადებს, რომ ამერიკული მხარის დასკვნა დილეტანტურია, რადგან ფუნდამენტალურად უნდა ყოფილიყო პასუხი გაცემული და მათ უნდა დაენერათ, რომ კონკრეტულად ამა და ამ ნიმუშში ამდენი პროცენტი იყო ტყვიის შემცველობა. მით უმეტეს, რომ ქართულ პროდუქციას უცხოელი არ იყიდდა სერტიფიკატის გარეშე. უფრო მეტიც, უცხოელები ჩვენს პროდუქციას რომ ყიდულობენ, ჯერ ინსტრუქციას იკითხავენ, შემდეგ კი მზა პროდუქციის შემოწმებას. ამიტომ ამერიკელებს უნდა ეთქვათ, მოჰყვეთ თუ არა ამ სუნელებს შესაბამისობის სერტიფიკატი?

**„ერთი რამ მაინტერესებს, აქვს თუ არა ამ პროდუქციას რაიმე საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც აკრედიტირებულია და ყველგან მუშაობს? ქართველ მწარმოებლებს ვურჩევდი, ამ სანელებლებს გაუკეთონ შევიცარიული კომპანიის სერტიფიკატი, რომელიც გადაამოწმებს არ ექვემდებარება. მისი ფილიალები არის ამერიკაში, მოსკოვსა და საქართველოში, კერძოდ, ბათუმში. ადრე თბილისშიც იყო, მაგრამ დღეს ბათუმშია. ძნელია იმის თქმა, ნამდვილად აღმოჩნდა თუ არა ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობა. შეიძლება, ზოგიერთ ადგილებში ჩვენი ნიადაგი დასერილი ყოფილიყო. თავის დროზე ტყვითა და მძიმე მეტალებით იყო დასერილი ნიადაგები, სადაც სპეციალური დანადგარებიდან ისროდნენ, რათა წვიმა გამოეწვიათ და ჭექა-ქუხილი გაეწიერებინათ. ამიტომ მწვანე მარცხენა ნიადაგები შესამოწმებელია. თუ არის იქ მძიმე მეტალების, პესტიციდების ნარჩენები, მაშინ ეს მზა პროდუქციაზეც აისახება. ამიტომ შესწავლის გარეშე არ შეიძლება კონკრეტულად იმის თქმა, ნამდვილად აღმოჩნდა თუ არა ჩვენს სუნელებში ტყვია“**, — აცხადებს თემურ ვეკუა.

**მისივე განმარტებით, ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულება ყველაფრის შემოწმების საშუალებას იძლევა, რითაც გამოირჩევა, პროდუქციის მიღებას სწორ სტანდარტის დაცვით, რომ განაწესოს გამოწმავილი. მით უმეტეს, რომ განაწესოს გამოწმავილიდან 60 მმტრში კი ყველაფერი დასერილია ტყვით.**

მანანა ნოზაძე

## ქსპერტიზის პასუხის უპედე დაით როსტომაშვილს თავად შეეძინება პრობლემა...



**დბსრ ულდბ იუმორისტ დავით როსტომაშვილის ძარცვა-ცემის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ზურა ქუთელიას სასამართლო პროცესი. სასამართლო მისი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს განიხილავდა. მოსამართლემ ქუთელია წინასწარ პატიმრობაში დატოვა.**

შეგახსენებთ, რომ დავით როსტომაშვილს მიმდინარე წლის 14 ივლისს დაესხნენ თავს. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულის სახით დააკავეს ზურა ქუთელია. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული პიროვნება დავით როსტომაშვილმა და მისმა ქალიშვილმა ამოიცივნეს.

იუმორისტის დაცვალების ფაქტზე სამართალდამცავები კიდევ ერთ პიროვნებას, ბ.კ.-ს ეძებენ. მან თბილისის დროებითი მოთავსების იზოლაციაში შესახლებამდე, ზედრეგისტრაციის გაქცევა და მიმალვა შეძლო. მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა

და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით იძებნება.

„ჯი-ეიჩ-ენს“ ზურა ქუთელიას ადვოკატი **ალექსანდრე მუზაბაძე** ესაუბრა. მისი განცხადებით, ქუთელია სრულიად უდანაშაულოა და ის პროკურატურის მძევალია.

„სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი განიხილა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო — ზურა ქუთელია 15 აგვისტომდე პატიმრობაში დარჩება. დაცვის მხარემ სასამართლო კონკრეტული მტკიცებულებები წარუდგინა, მათ შორის, ამოცნობის ოქმი. ბრალდება გვედავება, რომ თავმდაბსმელები ვინმე ავაჯანოვის მანქანით გადაადგილდებოდნენ. აღნიშნულ მოწმეს წარედგინა ფოტოსურათები, მათ შორის, ზურა ქუთელიას ფოტოც. ავაჯანოვმა განაცხადა, რომ არც ქუთელია და არც სხვა პირები, რომელთა ფოტოც მას აჩვენეს, მის მანქანაში არ მსხდარან.

სასამართლომ ეს ფაქტი არ გაითვალისწინა, ასევე არ გაითვალისწინა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მოწმის, ქალბატონის ჩვენება, რომელიც ამბობს, რომ იმ მომენტში, როცა ზურა ქუთელიას ავტომობილი დაანაშაულის ადგილზე გადაადგილდებოდა, მასთან ერთად იმყოფებოდა.

**— თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი, ერთ-ერთი ბრალდებულისა, თუ მხოლოდ მას ედავებიან დანაშაულს?**

— საქმეში ორი ბრალდებულისა, ერთ-ერთი სავარაუდოდ დამნაშავე გაქცეულია, მეორე საერთოდ არ ჩანს, გამოძიებამ არც კი იცის ვინ არის ის და ჩვენ გვაბრალდებს, თქვენ იყავით. უდანაშაულო ადამიანი ზის ციხეში. ქუთელია მომხდარი ფაქტიდან 9 საათის შემდეგ, სახლში დააკავეს. წარმოიდგინეთ, ის როსტომაშვილს, მის შვილებს იცნობდა, მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასეთი ფაქტი მოხდა და ის სახლში ავიდა, არსებინდა დაიძინა?

**— როგორ აღმოჩნდა დანაშაულთან ზურა ქუთელიას დაკავშირება?**

— იმ ადგილზე, ორჯერ, ფაქტამდე და ფაქტის შემდეგ გაიარა. ალბათ, ბრალდების მხარე ფიქრობს, რადგან ქუთელია იმ ტერორიზმზე მოძრაობდა, რაღაც კუთხით ის დამნაშავეა. ბრალდება, რომ ეს დანაშაული ამ ადამიანმა ჩაიდინა, აბსურდულია! მას როსტომაშვილისთვის არც ხელი დაურტყავს და არც ბეისბოლის ბიტა. იმ მომენტში ქუთელიას მეგობარი გოგონა მიჰყავდა სახლში.

**— ქუთელია იცნობს იმ ადამი-**

**ანს, ვინც მიმალვას?**

— კი, როგორ არ იცნობს, ყველანი ერთი უბნელები არიან. თუმცა, ის იმ დღეს არ უნახავს.

**— რაიმე სახის უთანხმოება ხომ არ შექონდათ თქვენს დაცვის ქვეშ მყოფსა და როსტომაშვილს?**

— არა, გამოძიება მხოლოდ დათო როსტომაშვილის და მისი გოგონა ჩვენებს ეჭიდება, სხვა ვერაფერს. დამნაშავეები ნიღბებით არ ყოფილან.

**— რატომ ადებს როსტომაშვილი ქუთელიას ხელს?**

— შესაძლებელია, როსტომაშვილი ბრალდების მხარესთან შეთანხმდა. ალბათ, მას უთხრეს, ეს რომ გაუშვათ სხვა არაფერს დაგვრჩება, მძევლად დავიტოვოთ, რომ სხვები დავაკავოთ. სხვა მოტივი არ არსებობს. იმედი მაქვს, აღნიშნულს ბატონი როსტომაშვილი ძალიან ლამაზად გადათქვამს. წინა აღმდეგ შემთხვევაში, მას შეეძინება პრობლემა, რადგან მალე ექსპერტიზის პასუხიც ცნობილი გახდება. ამით დადასტურდება, რომ ის ადამიანი, რომელმაც როსტომაშვილს დაარტყა, ყელსაბამი ჩამოგლიჯა, ზურა ქუთელია არ არის.

დიდი ალბათობით, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა დადასტურდება, ამაში დარწმუნებული ვარ. ქუთელიას თავის ცხოვრების განმავლობაში ერთი ადმინისტრაციული ჯარიმაც კი არ მიუღია.

ესაუბრა **მკ ლემონჯაძე**

## ჰაერში ტყვიის რაოდენობა შეესიკებულა?!

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გარემოს ეროვნული სააგენტო ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით, ინფორმაციას ავრცელებს.

სააგენტო ჰაერში ტყვიის შემცველობის მონიტორინგს 4 ქალაქში აწარმოებს — თბილისში (2008 წლიდან), რუსთაველაში, ბათუმსა და ქუთაისში (2014 წლიდან).

ჩატარებული კვლევების თანახმად, 2016 წლის საშუალო მონაცემების მიხედვით 2015 წელთან შედარებით ჰაერში ტყვიის შემცველობა ქ. თბილისში შემცირებულია 5-ჯერ, ქალაქ ბათუმში დაახლოებით 3-ჯერ, რუსთაველაში — 2-ჯერ, ხოლო ქუთაისში კი უმნიშვნელოდ. აღსანიშნავია, რომ ტყვიის შემცველობის მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია გრძელდება 2017 წლის განმავლობაშიც (5 თვის მონაცემის მიხედვით).

დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია შეადგენს 0,0003 მკ/მ<sup>3</sup>-ში. (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №297/6, 2001 წლის 16 აგვისტო, ქ. თბილისი, გარემოს სარისკობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ).

ბრიტანეთის პრემიერი წერს, რომ 28 ივლისიდან 2 აგვისტომდე ბრიტანეთის ფლოტი მიაყენებს დარტყმას გერმანელების ხომალდებს, რომლებსაც გადასცავენ მათგან მათგან ნორვეგიასა და ფინეთში. 1941 წლის 24 ივლისს სერ უინსტონი წერს ახალ წერილს სტალინს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ინგლისი აგზავნის რუსეთში 200 გამანადგურებელ თვითმფრინავს „ტომოგავკს“. 1941 წლის 28 ივლისს ჩერჩილი კვლავ უზის სანერ მაგიდას. იმის ცნობის მაგივრად, რომ მიაყენებს დარტყმას გერმანიის ხომალდებსა და ჯარებს, ის წერს: „რუსული არმიების დიდებული წინააღმდეგობა მშობლიური მიწის დასაცავად გვაერთიანებს ჩვენ ყველას. მომავალ ზამთარში გერმანიას მოუწევს, გამოცადოს საშინელი დაბომბვა. ჯერ არავის გაწუცდია ის, რაც მათ მოუწევთ“.

ახლა კი წარმოიდგინეთ თავი სტალინის ადგილზე. ლონდონიდან თქვენსკენ მოედინება მდინარესავით აღფრთოვანების სიტყვები, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ტანკი ან თვითმფრინავი არ მიგიღიათ. არადა, ომი გრძელდება უკვე ერთი თვეა და ერთი კვირა. და თავად წერილშიც ჩერჩილი წერს, რომ გერმანიის საშინელი დაბომბვები დაიწყება ზამთრისთვის. ახლა კი ივლისია. და თქვენ, სტალინ, იცით, რომ ადოლფ ჰიტლერი გეგმობს „ბარბაროს“ ომის დამთავრებას სიცივეების დადგომამდე აპირებს?

შეაფასეს მოკავშირეების დახმარება? 1941 წლის 9 აგვისტოს ელჩი კრიპსი საბჭოთა მხარეს გადმოსცემს ბრიტანეთის წინადადებას ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე, რომლებიც თითქოს ერთად ებრძვიან ერთსა და იმავე მოწინააღმდეგეს. სსრ კავშირი ადრე ითხოვდა, მიეცათ მისთვის კრედიტი და გამოთქვა მზადყოფნა, გადაეხადა მიწოდებათა ღირებულების 33 პროცენტის ნაღდი ფულით. როგორია ბრიტანეთის საპასუხო წინადადება? ისინი ვაჭრობენ, როგორც ბაზარზე. უნდათ მიიღონ 40 პროცენტი, თანაც ნაღდად „ჩრდილოამერიკულ დოლარებში“. დანარჩენი 60 პროცენტი – ხუთი თანაბარი ყოველწლიური შენატანი ხუთი წლის განმავლობაში.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სტალინის, ნიკოლოზ მეორის ან ბრეჟნევის რუსეთი, რომელიც დახმარების შესახებ მოწოდების დროს დაიწყებს ვაჭრობას დალუპვის პირას მდგარი მოკავშირისგან, საერთო მტერს რომ ებრძვის? ასეთი რამ არასოდეს ყოფილა და არც იქნება. იმიტომ, რომ ჩვენ და ანგლოსალები – ეს ორი სრულიად სხვადასხვა ცივილიზაციები ვართ. რა ვქნათ? საბჭოთა კავშირი ღებულადაა შიფრს გადახდის 40 პროცენტით ნაღდი დოლარებით ან ოქროთი. 1941 წლის 16 აგვისტოს ხელი მოეწერა შეთანხმებას საქონელბრუნვის, კრედიტისა და კლირინგის შესახებ სსრ კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის. იგი ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისთვის კრედიტის მიცემას 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ეს კარგია, რასაკვირველია. მაგრამ დრო მიდის, მთავრდება ომის მეორე თვე – ინგლისელები არანაირ დახმარებას არ უწევენ სსრ კავშირს. არ არის საბრძოლო მოქმედებები, მსოფლიოში უძლიერესი ინგლისის ფლოტი ხელს არ უშლის გერმანელებს, განახორციელონ გადატანები. ბრიტანეთის ჯარების არანაირი გადასხმა არაა არსად. სამაგიეროდ ინგლისელების საქციელი ყოველთვის შეიცავს ხრიკებს. მაგალითად, როდესაც ამზადებენ 1941 წლის 27 აგვისტოს საერთაშორისო კონფერენციას ლონდონში, ისინი უბრალოდ არ აგზავნიან მოსამზადებელ დოკუმენტებს მოსკოვში. იმიტომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი მოლოტოვი საბჭოთა ელჩს 24 აგვისტოს უგზავნის დეპეშას, რომელშიც წერს:

„ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია თქვენგან იდენის ნოტის ტექსტი საკითხზე 27 აგვისტოს მომავალი სამოკავშირეთაშორისო კონფერენციისა და მისი მუშაობის პროგრამის შესახებ. კონფერენცია კი იხსნება ორი დღის შემდეგ, მაშასადამე, ჩვენ არ გავაჩნია შესაძლებლობა, ვიფიქროთ იდენის ნოტის შესახებ, თუ ჩვენ მას მივიღებთ დარჩენილ ორ დღეში. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ მოკავშირეების კონფერენციაში, რომელიც ამასთან ერთად მომზადებულია სსრ კავშირისთვის რაიმე წინასწარი შეტყობინების გარეშე“.

1941 წლის 27 აგვისტოს სსრ კავშირის ელჩი კიდევ ერთხელ ხვდება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენს და საუბრობს მასთან არაჩვეულებრივად მკაცრად. ეტყობა, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მოთმინება უკვე იწურება. ჩვენი ელჩი გამოთქვამს გაკვირვებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვს არანაირი დაპირებული დახმარება არ მიუღია. მაგალითად, გამანადგურებლები „ტომოგავკი“ 200 ცალის ოდენობით გადაეცა სსრ კავშირს უკვე ერთი თვის შემდეგ. გადაეცა, მაგრამ არ ჩამოუტანიათ – აი რა არის ამოცანა. ელჩი ივან მაისკის სიტყვები უნდა წაიკითხოთ მათ, ვინც მოუსმინა „უხო მოსკვის“ და ლიბერალურ ისტორიკოსებს, წმინდად სწამს, რომ „მართალი“, ბრიტანული დემოკრატები პირველივე დღი-

გაბრძანება. დასაწყისი №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135


# ნიკოლაი სტალინი ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



დან მხარი-მხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და გვეხმარებოდნენ, გვეხმარებოდნენ, გვეხმარებოდნენ...

„ინგლისი არ აწვებს მეორე ფრონტს და ამავე დროს არ გვაძლევს ჩვენ თვითმფრინავებსა და იარაღს რაღაც სერიოზული ოდენობით. რასაკვირველია, ჩვენ მადლობელი ვართ ბრიტანეთის მთავრობისა იმ 200 „ტომოგავკისთვის“, რომლებიც გადმოგვცა დაახლოებით ერთი თვის წინათ და რომლებიც ჯერ კიდევ არ შემოუტანიათ სსრ კავშირში, რის შესახებაც ახლახან ვლაპარაკობდით – რას ნიშნავს ეს? ანდა კიდევ ერთი მაგალითი: ჩვენ ბრიტანეთის მთავრობას ვთხოვდით დიდ ბომბებს – ავიაციის მინისტრი სანგრძლივი საუბრების შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაგვთანხმდა, შეასრულოს ჩვენი თხოვნა, მაგრამ რამდენი ბომბი მოგვცა მან ჩვენ? ექვსი ბომბი – არც მეტი და არც ნაკლები. ასეა საქმე სამხედრო შეიარაღებასთან დაკავშირებით. კიდევ რითი ეხმარებოდა ინგლისი სსრ კავშირს ამ



10 კვირის განმავლობაში? ლონდონში ძალიან უყვართ ხაზგასმით აღნიშვნა: საპაირო შეტევები გერმანიაზე. მართლაც, ამ დარტყმის რაღაც გაკეთდა, და კვლავ ამისთვის მზად ვართ, მადლობა გადავუხადოთ ბრიტანეთის მთავრობას. მაგრამ იდენისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანიის დაბომბვებს, თავისი უსათუო სარგებლობით, არ შეუძლიათ, მოახდინონ რამდენიმე სერიოზული გაგლეწა აღმოსავლეთი ფრონტის საქმის ვითარებაზე. საკმარისი როდია ცოფიანი მხეცისთვის კუდზე ჩქმეტა, მას ურო უნდა ჩასცხო თავში. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ინგლისელების დაბომბვებმა ვერ აიძულეს გერმანელები, მოეხსნათ თუნდაც ერთი ესკადრონი ჩვენი ფრონტიდან... რა გვაქვს კიდევ ინგლისელებისგან? უამრავი ალტაცება საბჭოთა ხალხის მამაცობისა და პატრიოტიზმის გამო, წითელი არმიის ბრწყინვალე საბრძოლო თვისებებთან დაკავშირებით. ეს, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა (განსაკუთრებით იმ საყოველთაო ეჭვების გამო ჩვენს ბრძოლისუნარიანობაზე, რაც ბატონობდა აქ სულ რაღაც რამდენიმე კვირის წინათ), მაგრამ ნამეტანი პლატონურია ხშირად, როდესაც მესმის ქება ჩვენი მისამართით, ვფიქრობ: „ნაკლები ტანის ცემა და მეტი გამანადგურებლები“ ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, უნდა გიკვირდეს განა გავაგნებინა და განზილებების გრძობა, რომელიც აშუამად სულ უფრო იჭრება საბჭოთა ადამიანის სულში? ფაქტობრივად

ხომ ისე გამოდის, რომ ინგლისი ამ მომენტში არის არა იმდენად ჩვენი მოკავშირე, ამხანაგი სასიკვდილო ბრძოლაში თანხლებული გერმანიის წინააღმდეგ, რამდენადაც ჩვენი თანამებრძობი მაყურებელი“ (ივან მაისკი).

როდესაც მიიღო მაისკის ანგარიში გამართულ საუბარზე, სტალინიმ მას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აქვს იმის გამო, თუ როგორ მკაცრად „გასცრა“ ინგლისელები:

„თქვენი საუბარი იდენტურ ინგლისელების სტრატეგიის შესახებ მთლიანად ასახავს საბჭოთა ადამიანების განწყობილებას. მიხარია, რომ თქვენ ასე კარგად გაიგეთ ეს განწყობილება. საქმის არსით, ინგლისის მთავრობა თავისი პასიურ-მომლოდინე პოლიტიკით ეხმარება ჰიტლერელებს. ჰიტლერელებს სურთ, ურტყან თავის მოწინააღმდეგეებს სათითაოდ – დღეს რუსებს, ხვალ – ინგლისელებს. ის ვითარება, რომ ინგლისი ჩვენ ტანს გვიკრავს, გერმანელებს კი ლანძღავს უკანასკნელი სიტყვებით, სულაც არ ცვლის საქმეს. ესმით განა ეს ინგლისელებს? ვფიქრობ, რომ ესმით. რაღა უნდათ მათ? მათ მგონი, უნდათ ჩვენი დასუსტება, თუ ეს ვარაუდი სწორია, ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად ინგლისელებთან დაკავშირებით“.

იმავე დღეს, 1941 წლის 30 აგვისტოს, ჩერჩილი უგზავნის სტალინს წერილს, რომელშიც ამბობს, რომ მზად არის, გაგზავნოს რუსეთში კიდევ 200 გამანადგურებელი „პარიკეინი“, მაშასადამე, ერთობლივი დახმარება მთლიანად შეადგენდა უკვე 440 გამანადგურებელს. სტალინის პასუხი არის ბრწყინვალე და ირონიული: „მადლობას მოგახსენებთ დაპირებისთვის, ადრე დაპირებული 200 გამანადგურებელი თვითმფრინავის გარდა, მიჰყიდეთ საბჭოთა კავშირს კიდევ 200 გამანადგურებელი“. და აი შემდეგ სტალინი კვლავ იყენებს მეთოდს, რომელიც მოქმედებს ინგლისელ პოლიტიკოსებზე და დიპლომატებზე, როგორც წმინდა წყალი მოქმედებს დემონებსა და ვამპირებზე. სტალინი წერს სიმართლეს:

14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## თბილისის ბაბა-ბაბუში პლასტიკის რეგისტრაცია დაიწყო

**ბაბა-ბაბუშის მართვის სააგენტოს ინფორმაციით, რეგისტრაცია ორ ეტაპად განხორციელდება და ჩატარდება ელექტრონულად, სააგენტოს ვებგვერდის - kids.org.ge-ს საშუალებით.**

პირველი ეტაპი გუშინ, 7 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყო. პირველ ეტაპზე რეგისტრაცია გაივლიან თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, იმ ოჯახების ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით, ასევე 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 14 ივლისს 13:00 საათზე დაიწყება და რეგისტრაციას გაივლიან იმ ოჯახების ბავშვები, რომლებიც არ შედიან პირველ ეტაპზე დასარეგისტრირებულთა კატეგორიებში.

ბაბა-ბაბუშის მართვის სააგენტოს ინფორმაციით, სარეგისტრაცია ფორმაში დაემატება სუთი ახალი საბავშვო ბაღი, რომელთაც უკვე მიენიჭა ნომრები. ესენია: №33 საჯარო ბაბა-ბაღი - ვაშლიჯვრის დასახლება, ზონა 2; №69 საჯარო ბაბა-ბაღი - ჩიტაის ქუჩა №6; №74 საჯარო ბაბა-ბაღი - პეკინის გამზარი №23; №113 საჯარო ბაბა-ბაღი - ურეკის ქუჩა №4; სოფელ წინუბნის საბავშვო ბაბა-ბაღი - სოფელი წინუბანი.



## აიკრძალება პლასტიკური და არაბიოდეგრადირებადი პარკების ნარჩენების შეგროვება

პლასტიკის პარკების მოხმარების შემცირებისთვის ახალი რეგულაციების დანერგვა 2018 წლის განმავლობაში იგეგმება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პარლამენტმა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის განხილვა დაიწყო.

**„როგორც ცნობილია, გარემო ყველაზე მეტად სწორედ პლასტიკისგან დამზადებული პროდუქციის ნარჩენებით ბინძურდება, განსაკუთრებით ეს ეხება ერთჯერად პლასტიკის პარკებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გამოიყენება. ამასთან, პლასტიკის პარკი წარმოადგენს ნავთობპროდუქტებისა და ნარჩენი პლასტიკური ნივთიერებების გადამუშავებით მიღებულ პროდუქტს, რომლის სრულ დაშლას 100 წელზე მეტი სჭირდება. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში ერთი მოქალაქე, საშუალოდ, წელიწადში 525 ერთჯერად პლასტიკის პარკს მოიხმარს, სოლო, მაგალითად, ირლანდიაში აღნიშნული საშუალო მაჩვენებელი არის 14 პლასტიკის პარკი, დანიაში და ფინეთში კი მხოლოდ - 4. ვინაიდან პლასტიკის პარკების მოხმარება წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, მრავალმა ქვეყანამ შე-**

**იმუშავა გარკვეული რეგულაციები მათი მოხმარების შესამცირებლად. პლასტიკის პარკების მოხმარებაზე რეგულაციები დანერგა არა მხოლოდ განვითარებული, არამედ განვითარებად ქვეყანებშიც. ევროპის ბევრ ქვეყანაში დანერგულია გარკვეული შეზღუდვები პლასტიკის პარკების გამოყენებასთან დაკავშირებით, ზოგიერთ ქვეყანაში სრულიად აკრძალულია პლასტიკის პარკების გამოყენება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა პლასტიკის პარკების მოხმარება და შედეგად, ნეგატიური ზენოლა გარემოზე,“ -** ნათქვამია განცხადებაში.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნული გარემოებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდა „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ცვლილებების პროექტი და გათვალისწინებულია ტექნიკური რეგულაციების მიღება, რომლითაც დანერგება შეზღუდვები გარკვეული სისქის პლასტიკის პარკების ბრუნვაზე.

**კერძოდ, პირველ ეტაპზე, აიკრძალება 15 მიკრონზე ნაკლები პლასტიკის პარკების იმპორტი/წარმოება და რეალიზაცია, ასევე დადგინდება ტექნიკური მოთხოვნები ბიოდეგრადირებადი პარკის შემადგენლობის მიმართ.**

**როგორც უნდა იქნებოდეს, რეგულაციების შემოღების თაობაზე სამინისტროში წინასწარ გაიმართა კონსულტაციები საქართველოში პლასტიკის პარკების ძირითად მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან, რეალიზატორებთან და მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა აღნიშნულ სფეროში რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით. მწარმომებლებს საკუთარი საქმიანობის ახალ რეგულაციებთან ადაპტაციისთვის დაჭირდებათ გარკვეული დონისაქტივების გატარება, სწორედ ამიტომ კანონპროექტების ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2018 წლის განმავლობაში.**



და პირიქითა ხევისურეთი გარესამყარო-საა მოწყვეტილი.

\* \* \*

**ბასპის რაიონის სოფელ გოსტიბეს ტყეში ოთხი მოქალაქე დაკარგული, - ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო აცხადებს.**

ტურისტები სამაშველო სამსახურს 5 ივლისს დაუკავშირდნენ, როდესაც ისინი სოფელ გოსტიბეში იმყოფებოდნენ. თუმცა, მოგვიანებით ტურისტებთან სატელეფონო კომუნიკაცია ვეღარ შედგა.

## ექვან დაპარულ ტურისტებს

**პირიქითა ხევისურეთი მეორე დღეა 5 დაკარგულ ტურისტს ეძებენ.** ამერიკელი მოგზაურები სამაშველო სამსახურებს ხუთშაბათს დაახლოებით ღამის 10 საათისთვის დაუკავშირდნენ და დახმარება ითხოვეს. წინასწარი ინფორმაციით, პირიქითა ხევისურეთის ადგილებზე არაღებულა შეუქმნა. ხევისურეთში მეორე დღეა, გადაუღებლად წვიმს, ადიდებულია მდინარეები და ხეხევი. ამ დროისათვის ჩამოსვლილი მენყერის გამო ჩაკეტილია სავტომობილო გზაც

და პირიქითა ხევისურეთი მეორე დღეა 5 დაკარგულ ტურისტს ეძებენ. ამერიკელი მოგზაურები სამაშველო სამსახურებს ხუთშაბათს დაახლოებით ღამის 10 საათისთვის დაუკავშირდნენ და დახმარება ითხოვეს. წინასწარი ინფორმაციით, პირიქითა ხევისურეთის ადგილებზე არაღებულა შეუქმნა. ხევისურეთში მეორე დღეა, გადაუღებლად წვიმს, ადიდებულია მდინარეები და ხეხევი. ამ დროისათვის ჩამოსვლილი მენყერის გამო ჩაკეტილია სავტომობილო გზაც

1983 წ.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ოჯახთან ერთად, ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდით საცხოვრებლად. დედაქალაქთან შეჩვევის, უფრო შეგუების წუთები გრძელდებოდა... ვერც მე და ვერც ჩემმა მეუღლემ სამსახური ვერ ვიშოვეთ. შეპირებები მრავლად იყო, აღსრულება ნაკლებად. არც უარს გეუბნებიან და არც თანხმობას...

ერთ დღეს, შემთხვევით, მთავრობის სახლის წინ, ქუთაისის ქალაქკომის ყოფილ მდივანს, ქალბატონ თამარ ვარდანაშვილს გადავეყარე. მოდიოდა აღნაგვი, ლამაზი, თმაქალარა ქალბატონი, შესვენებაზე გამოსულს ჰგავდა... ჩემი ხილვა ეამა. რაც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მის შემდეგ აღარ მენახა. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მსახურობდა, სოლიდური თანამდებობა ჰქონდა. იგი იმ პარტიულ მუშაკ-ქალბატონთა რიგს ეკუთვნოდა, მთელი თავიანთი ცხოვრება სამსახურს, ხალხს, პარტიულ პრინციპებს რომ შესწირეს და პირადი ბედნიერებისთვის არ უზრუნიათ...

მკლავში ხელი გამიყარა და თავის კაბინეტისკენ გამიძღვა. ქუთაისური ამბები გამომკითხა, ვილაცხვილა ცხვილი გაიხსენა... ჩემი მოთხოვნებიც ახსოვდა... „ჩემი და შეყვარებულია შენზე. სასთუმალთან უდევს შენი წიგნი და ხშირად კითხულობს, მეც მიკითხავს...“ მეამა. სადარდელიც იოლად გავუმხილე - „მთელი წელი უმუშევარი ვარ, მხოლოდ შეპირებები... აღსრულებას ვერ ვეღვირებ.“ „სუ გემინია, ახლავე ცეკაში გადავრეკავ, ვალერი ასათიანს ვთხოვ, ეგებ რაიმე ადგილი გამოგინახოს. ერთი კვირის შემდეგ მომავიკითხე.“ დავემშვიდობე. მართლაც ერთი კვირის შემდეგ, ქალბატონ თამართან კაბინეტში შესული არ ვიყავი, დამინახა თუ არა, შემეხმინა: „ლეილა! ილბალი გქონია, ხომ იცი, ქუთაისლები ერთმანეთს ვეხმარებით, ვალერიმ აკაკი შანიძეს დაურეკა თეატრალურ საზოგადოებაში და... გელოდებიან“.

გავოცდი. უმაღლესადი თეატრალურ საზოგადოებაში. ვიცოდი, აკაკი შანიძე წარმოშობით ქუთაისელი იყო, იგი თეატრალური საზოგადოების მაშინდელი თავმჯდომარის, დიდი ქართველი რეჟისორის დოდო ალექსიძის მოადგილე ითვლებოდა. მკაცრი, შეუვალი კაცი ვახლდათ. „ისეთმა ქალბატონმა გაგინათ რეკომენდაცია, როგორ შემიძლია უარი გითხრათ“ და მიმიღო.

მოკლედ, ბედს ვენი... მართალია, ერთობ უცხო გარემოში მოვხვდი. სახელოვანი მსახიობები, ოპერის მომღერლები, ბალერინები, თეატრალური დადგმები, სპექტაკლები... თავი სიზმარში მეგონა. ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ რედაქტორ-თანამშრომლად მიმიღეს...

რაც მთავარია, ხშირი შეხვედრა მიწევდა ისეთ დიდ პიროვნებასთან, როგორც ბატონი დოდო ალექსიძე ბრძანდებოდა, მარიჯანის საამაყო ვაჟი. მის კაბინეტში გამართული ყოველი კრება, თანამშრომელთა თავშეყრა, დროდადრო ნამდვილ სანახაობად იქცეოდა... ყოველი ჩვენი, გათამაშებული „სპექტაკლის“ უშუალო მონაწილე ვხდებოდით. მით უმეტეს, მაშინდელ თეატრალურ საზოგადოებაში ძველ მსახიობებს, სცენის მუშაკებს, რეჟისორებს მოეყარათ თავი. თეატრალური დადგმებში უკვე აღარ მონაწილეობდნენ. სულიერ მოთხოვნილებებს დიდ რეჟისორთან სიახლოვეში იკმაყოფილებდნენ.

ერთ მათგანი იყო, ერთ დროს, რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი, ქალბატონი ნინო ლაფაჩი, მრავალი ღირსშესანიშნავი როლის შემსრულებელი. კვლავაც მომხიბვლელი, ახალგაზრდულად თანშემართული. ამერიკად, უბრალო კრება თუ თათბირი იმპროვიზაციულ „სპექტაკლად“ იქცეოდა. საოცრება იყო! სადაც, მთავარი მოქმედი გმირი (ბატონი დოდო!), მოჭარბებული ენერჯით, იუმორის გრძობით, აშკარა ფიერვერკებს მართავდა... სამახსოვრო დღეები იყო! მახ-

სოვს, ერთხელ კაბინეტში ვეახლე და ახლად გამოცემული, ჩემი მოთხოვნების კრებული - „ბიჭს მამა ენატრებოდა“ თბილი წარწერით მივართვი. გაიხარა (რაც უფრო მსახიობურ შესტად ჩავთვალე). ვფიქრობდი, დროს ვერ გამოიხარავს, წიგნის წასაკითხად ვერ მოიცლის-მეთქი... რაოდენი იყო ჩემი გაცემა, როცა მესამე დღეს, გიორგი ხუბაშვილმა ოთახის კარი შემოაღო და მითხრა: „ლეილა, ბატონი დოდო გეძახის!“ - გავყვი. კაბინეტში მარტოდმარტო დამხვდა.

მკაცრი გაცვეთილი ჩამიტარა-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ თითოეული სიტყვა სამახსოვროდ ჩამოჩა გონებაში. წიგნის სარჩევი, ხუთბალიანი სისტემით შეფასებინა ბატონ დოდოს. მოთხოვნებს: „ბიჭს მამა ენატრებოდა“, „ღამე ტაძარში“, „ოქრომჭედელი - არს კვეთის ხურო“, „სახლი, რომელიც ხვდა უნდა გაიყიდოს“ და „ლუჩიას“ - თითოეულ მათგანს, „ხუთიანი“ ეწერა. დანარჩენი მოთხოვნები დაბალი ქულებით შეფასებინა...

სავარძელში იჯდა, დინჯად. უხმოდ შემომცქეროდა... ბრძენ მოგვს ჰგავდა. მაღალი შუბლით, ფიქრში წასული მზერით. დაკვირვებით მიცქერდა, მერე და-

ლეილა მესხი



ბალი ხმით ალაპარაკდა. ყველაფერზე მესაუბრა, მწერლობაზე, პოეზიაზე, ჩემს მოთხოვნებში ნაპოვნ ქალურ ინტიმზე, სულიერ სიფაქიზე, პიროვნულ თავისუფლებაზე... (მეგონა ვილაცხვილა ლაპარაკობდა!) კვანკალებდი... თითები მითრთოდა. ბოლოს რჩევა მომცა, რაკი აქ მოხვედი, თეატრალურ საზოგადოებაში, გირჩევ, მეტი მონდობით შეისწავლო თეატრი, მსახიობი, როლი, რეჟისორი და სცენა. უჭკველად გამოგადგება. აზროვნებას გაგიმდიდრებს და შენს პროფესიას, უფრო დახვეწს და გააღამაზებს.

ამიტომ იყო, იმ დღის შემდეგ, ლამის ჩვევად მექცა, თეატრალური საზოგადოების მდიდარ ბიბლიოთეკას მაღიმილ ვეწვეოდი. მოკლედ, აქტიური მითხრობი გახვდი. ყურადღებით გავეცანი ძველისძველ დადგმებს, სპექტაკლებს. წავიკითხე რეცენზიები, წერილები, მოგონებები. დავინტერესდი გამოჩენილი თეატრალულების ცხოვრებით, მათი წარმატებით და მარცხით. უპირველესად, სტანისლავსკით დავინყე... მის მოსაზრებებს გავეცანი, ჩავუღრმავდი კიდევ. სცენა, ქალი და მარაო. ჩეხოვის „სამი და“. არც ქართველები დამეინყნია, ახმეტელი და მარჯანიშვილი. აკაკი ვასაძის მოგონებებს გავეცანი... რუსული ბალეტი, ცნობილი ბალერინა - ანა პავლოვა, ულანოვა. მუსიკოს-შემსრულებლები - კოგანი, რისტერი. ქართველი დრამატურგები: კაკაბაძე, ნახუცრიშვილი. რეჟისორები: თუმანიშვილი, სტურუა, ჩხეიძე... რაც მთავარია, დოდო ალექსიძის შემოქმედებას გავეცანი, მისი ცხოვრების ყოველი მონაკვეთი შევისწავლე.

საკუთარ თავში ახალი მიხვედრები აღმოვაჩინე. განსაკუთრებით ხელოვანი ქალების უფაქიზესი სულით დავინტერესდები. ამას დაემატა უპატრონო, ობოლ ბავშვთა თავშესაფარში აღზრდილი გოგონების ბედი (საიდან მომავიქრდა, დღესაც არ ვიცი!). მოკლედ, რაღაცას ვეძებდი, ვიკვებდი, ვესწრა-

ფოდი. რას, ჯერაც არ ვიცოდი, ვერ მიმვდარიყავი. ბოლოსდაბოლოს რას ვესწრაფოდი...

მოკლედ, ასეა თუ ისე, სამსახურში თავისუფალი დრო საკმაოდ მქონდა, ჟურნალი თვეში ერთხელ გამოდიოდა. ვიჯექი და ვკითხულობდი. ამას ემატებოდა მეორე აუცილებლობა, რო-



ბაში ჩამოვანიკნიკებდი და სამსახურში მისვლისას, უპირველესად, ფურცელზე ვადაქმნებდი. ყოველთვის ვინმე ნავდი. რაც აშკარა გაფანტული იერს მაძლევდა. ამიტომ იყო, თანამშრომელთა კითხვებს, მცირედი დაყოვნებით ვპასუხობდი... სხვა სამყაროდან დაბრუნებულს ვგავდი.

იგივე მეორედებოდა საღამოს, როცა შინ ვბრუნდებოდი, თვალწინ, კვლავ რომანის გმირები მიტრიალებდნენ, თითქოს ცოცხლდებოდნენ, არსებობდნენ. მათი ხმები მესმოდა, სახეები მეღანდებოდა. ოჯახურ საქმეს მცირედად მოვანდერსივებდი და მაშინვე წერას ვინწყებდი... ოჯახის წევრები, მეუღლე, შვილები, რა ხანია, შეჩვეოდნენ ჩემს გაფანტულ მზერას, სხვა სამყაროში გადასვლის თავისებურებებს, არ ერეოდნენ, არც ხელს მიშლიდნენ. სიჩუმით მფარველობდნენ... ყოველივე ამისთვის, მაღლობა მათ!

მოკლედ, თბილისი-ავჭალის გრძელი გზა შემოქმედებითი საქმიანობისთვის უდავოდ გამომადგა. ვერც იმას ვიტყვი, ადვილად დაინერა რომანი-თქო, სირთულეებიც ახლდა. მაგრამ თეატრალური სამყარო, ცნობილი მსახიობები, მუსიკოსები, ოპერის მომღერლები, კომპია ბალერინები, ისე ხელალებით შემოდიოდნენ ახალ რომანში, ისე ლაღად ალებდნენ კარს, თითქოს მსტუმრობდნენ. მეჩვენებოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. გაოცებული ვიყავი... ვიცნობდი, არა ზერეულედ და ზოგადი მონახაზით, არამედ მთელი განცდით, ტკივილით, სიახლოვის სურვილით. მათი ილბალი თუ უილბლობა მაწუხებდა, მათი ბედი მაღარდებდა...

რომანის გვერდები ნელ-ნელა ივსებოდა...

იმასაც ვამჩნევდი, თეატრალურ საზოგადოებასთან სიახლოვემ რაღაც შეცვალა ჩემში... (ბატონი დოდოს სიტყვები მაგონდებოდა!) მიხვედრები და აზროვნება. გმირებიც სულ სხვაგვარი ჩანდნენ. ისინი არ ჰგავდნენ ქუთაისელ ნაცნობებს. არა მარტო გარეგნობით განსხვავდებოდნენ, ცხოვრების წესით, ჩაცმით, დახურვით. ბედით თუ უბედობით. რომანი ჯერ კიდევ წერის პროცესში იყო (დამთავრება გამიძნედა), მოულოდნელად თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, დიდი ქართველი რეჟისორი, ბატონი დოდო ალექსიძე გარდაიცვალა. ბოლო ხანებში, სამსახურში არ დადიოდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა. იმ დღით, შვილიშვილს ეთამაშებოდა თურმე, ალერსსა და მხიარულებაში მიიძვალა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა... ნათელში მისი სული!

1985 წ. 20 თებერვალი.

გარდაიცვალა ბატონი დოდო და სულ მალე საზოგადოება დატოვა აკაკი შანიძე. ისინი მეგობრები იყვნენ... თეატრალურ საზოგადოებაში სულ სხვა ხალხი მოვიდა. არანაკლებ სახელმწიფო და ღირსეული პიროვნებები, მაგრამ ატმოსფერო აშკარად შეიცვალა. იქაურობა გამკაცრდა, გამოცხადების წიგნი შემოიღეს, წუთების დათვლა დაიწყო, ყოველ დაგვიანებულ წუთზე ასხნა-განმარტებას ითხოვდნენ. „ზოგიერთი“ კვლავაც აგრძელებდა მხიარულ მიეთ-მოეთს, ისინი უფროსობასთან დაახლოებული პირები იყვნენ, ხშირად კაბინეტებში ისხდნენ... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ადმინისტრაციის მკაცრი ბრძანება, ზოგზე მოქმედებდა, ზოგზე არა... უდავოდ ავტორიტეტი მოემატა ჟურნალის რედაქტორს (ჩემს პირად უფროსს). თავმომწონებდა ბიჭი, ნიჭიერ დრამატურგად მიაჩნდა თავი. მისი პიესები სხვადასხვა თეატრებში იდგმებოდა. რეჟისორებს შორის „ძმაცაცები“ ჰყავდა... ამას ემატებოდა მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრები, მსახიობები, თეატრის ცნობილი მოღვაწენი, აეროპორტში ხვედებოდა მათ, თბილისის ქუჩებში დაახლოებულად, რესტორნებში პატივდებდა. მოკლედ ერთობ თავმომწონე გახდა, რაც მთავარია, თანამშრომლებს ომი გამოგვიცხადა (მათ შორის მეც). სურდა, იძულებული გავხებოდე, რომ სამსახური დამეტოვებინა...

არადა, შორს ვცხოვრობდი. დილის შვიდ საათზე ვდგებოდი, რომ დროულად მომეღწია. მაინც მაგვიანდებოდა... დაბარებულყოფით, შესასვლელ კართან მელიოდა იგი, მანქანიდან ახლადგადმოსული, მიცდიდა, როდის გამოვჩნდებოდი... როგორც კი აღმართს ამოვივლიდი, გახშირებული სუნთქვით, ქოშინით, უმაღლესი ჩამოსვლა: „ჩვიდმეტი წუთი დააგვიანე, ახსნა-განმარტება დანერე!“ ყოველივე ეს, სულიერად მანადგურებდა... ბოლოს, საერთოდ არ ვანერდი ჟურნალს ხელს, უხმოდ ავეყვეპოდი კიბეს...

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩვენი დაპირისპირება. ვგრძობდი, მოთმინების ძაფი საცა იყო გამინყდებოდა. პირისპირ ჯდომა და თვალეში ცქერა არ შემეძლო... ნკიპზე ვიყავი, საცა იყო ავფეთქდებოდი...

მასხოვს, საღამო ჟამს, შინ წასვლის ნაცვლად, ქაშუეთის ეკლესიას მივაშურე. სანთლები ავანთე, ვილოცე. ღვთისმშობელ მარიამს დახმარება ვთხოვე... ოდნავ დავმშვიდდი. დილით, აღმართს რომ ავეყვი, სანამ თეატრალური საზოგადოების კიბეებს მივუახლოვდებოდი, ვხედავ, ქუჩის მეორე მხარეს, მანანა სანადირაძე მოდის (გამომცემლობა „მერანის“ რედაქტორი, იქვე ახლოს ცხოვრობდა), შორიდან მომესალმა. მითხრა: „ლეილა, შენ ჟურნალში მუშაობ ხომ?“ „კი“. „შტატში ხარ?“ „კი. რატომ მეკითხები?“ „მერანში“ გადმოხვალ რედაქტორად?“

მეგონა მომეყურა... მაშინ არ ვიცოდი, კოლაუ ნადირაძის ლექსის „25 თებერვალის“ გამო, შვიდი თანამშრომელი რომ გაანთავისუფლეს „მერანიდან“: მამუკა ნიკლაური, იზა ორჯონიკიძე, გრიშა ჯულუხიძე, ლეილა ბეროშვილი და სხვები. უმუშევრები რომ არ დარჩენილიყვნენ, უფლება მისცეს, ადგილები გაეცვალებათ... და მოხდა საოცრება! მეორე დღეს, შუადღისას, ლეილა ბეროშვილი შემომიღო კარი, განზე გამიხმო და ადგილების გაცვლა შემომთავაზა: „შენ „მერანში“ გადადი, მე თეატრალურში... ორივეს ხელფასი გვექნება, უმუშევარი არ დავრჩებით!“ უმაღლესი დავთანხმდი. ჩვენი შეთანხმება, მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ შოთა ნიშნიანიძემ გაიზიარა და მოიწონა, გურამ გვერდნიელიც („მერანის“ დირექტორი) თანახმა იყო. მოკლედ წასასვლელად მზადება დავიწყე...

„მერანში“ გადავდივარ სამუშაოდ... ერთ დღეს ვამცნე ჟურნალის რედაქტორს. გაოცებისაგან ყბა ჩამოუვარდა...

ამრიგად, გამომცემლობა „მერანში“ ქართული მხატვრული ლიტერატურის განყოფილების რედაქტორად დავინიშნე... ყველაზე გასაოცარი ის იყო, იმ ხანებში, მწერალთა კავშირში, იტალიაში სამოგზაუროდ წასვლის მსურველთა ჯგუფი შეიკრიბა. მათ შორის მეც მოვხვდი. საბუთები გავამზადე, წასასვლელად მზადება დავიწყე. წამსვლელთა სია დაზუსტდა. ხუთი კაციდან, რატომღაც მხოლოდ მე გამიშვეს... „ცნობილი დრამატურგი“ დარჩა...

იტალიიდან დაბრუნებული, შთაბეჭდილებებით სავსე, ხალისით შევეუდექი საგამომცემლო საქმიანობას. რა დავმალე და, „მერანში“ მოხვედრა, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო... რუსთაველის პროსპექტი ხომ მიყვარდა, მწერლების, მხატვრების, მთარგმნელების სიმრავლე უდავოდ მსიამოვნებდა. ყველა ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ... ჩემს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. სულ მალე გამომცემლობაში ახალი რომანი „ფაიფურის თოჯინა“ წარვადგინე. წლის ბოლოს გამოცემა (1986 წ.) რედაქტორი ლალი თურბანიძე იყო.

მასხოვს, რუსთაველის პროსპექტზე, ნიგნის მაღაზიაში გამოფინეს რომანი, უმეტესად ახალგაზრდები ყიდულობდნენ. გამეფიქვინა ქალი მეუბნებოდა: „გამოტანას ვერ ვასწრებ, უცებ იყიდებაო“. კარგი დრო იყო!

ახლა სახლში მიწყვია ნიგნები, მაღაზიები არ იბარებენ „ინდემნარემ“ უნდა გახდეთ...

**© ახალმოსულის შენიშვნები**

**აღიბრებულ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას გასაოცარი პოლიტიკური ინტუიცია და საერთაშორისო მწვავე სიტუაციებში წვდომის ნიჭი ჰქონდა. დახვეწილი პოლიტიკოსისა და დიდი პატრიოტის ხედვა ჩანს 1917 წლის 12 თებერვლის „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილში „ახალმოსულის შენიშვნები“.**

**გულისტყვილით მიიდა ვთქვა, — ხომ არ რჩება ძალაში ზუსტად ასი წლის წინათ, ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნათქვამი ტყვილიანი სიტყვები: „...გულუბრყვილო რაინდები და ჭკუამოკლე პოლიტიკოსნი ვიყავით და ვართ დღესაც?“ დანარჩენს, მკითხველი შეაფასებს.**

ნოდარ კუჭავაძე

**...გულუბრყვილო რაინდები და ჭკუამოკლე პოლიტიკოსნი ვიყავით და ვართ დღესაც?**

...ჩვენ უბედურესი ერი ვართ — ქვეყანაზე მივიწყებული, პატივყარილი.

„ობოლი ერი“ გვიწოდა ერთმა უცხოელმა ეთნოგრაფმა. მე ვიტყვი „უბედური ერი“. მას შემდეგ, რაც თვალი გაგვიხელია და სიბნელიდან სინათლისა და კულტურისაკენ ლტოლვა გვიწყია, მოსვენება არა გვექონია.

კაცობრიობის ისტორია, ამბობს ერთი ინგლისელი მეცნიერი, მატიახეა წამებისა და განუწყვეტელი ტანჯვისა; ეს კერძოდ ყოველი ერის ისტორიაზე ითქმის, მაგრამ, როგორც კერძო პიროვნებათა შორის, ზოგს მეტი და ზოგს ნაკლები დოზა სვდება უბედობისა, ისეა ერთა და ხალხთა ოჯახშიაც.

ჩვენ, ქართველები როგორც იდიომურად, ისე ეთნიურად მარტოხელა ვიყავით. არასოდეს არავინ გვეყოლია მოსარჩლე და მეგობარი.

არავის კერაზე არ მოგვიტოვა ხელი, ჩვენთვის არავის შეუშველია ძმურად მკლავი, როცა ისტორიის გზატკეცილზე წაგვიბოძოებია, გამგულ-გამომგულეს წინსი თუ ჩაუკრავს, მოყვარედ მოსულის მკლავისაგანაც ბევრი მუჯღუგუნე გვასხოს.

ჩვენი გვირგვინისაგანაც განტოლვილან უგვირგვინოდ თავიანთ სამეფოდან. ჩვენი მიწა-მამულიც მიუციათ „გზად მიმავალთ“ ცეცხლისა და მასხვისათვის.

ჩვენი ნეოტრალიზაც დაურდვევით, ჩვენი უფლებებიც არა ერთხელ გაუთელიათ, მაგრამ ჩვენი კენესა კავკასიონის უდელტეხილს არ გასცილებია.

გარნა ჩვენ ბალკანეთის კრებაზე ნაკლები დეაწლი მიგვიძღვის იმ ევროპიულ ერთა წინაშე, რომელნიც ასე თავგამოდებით ესარჩლებიან სერბიელთა და მონტენეგროელთ? გარნა ჩვენ ნაკლები შემოქმედებითი ენერჯია დაგვიხარჯავს თავის დროზე კავ-

კასიის ველურ თემებში ცივილიზაციის სხივის შესატანად. თუ ფრანგ და ინგლისელ, ავსტრალიელ მისიონერთ ისხენებენ ქრისტიანულ „კულტურ-ტრეკერებად“, ჩვენი სახელი რად დავიწყებიათ?

გარნა ის კულტურული საგანძური, რომელიც ჩვენ წინაპართ ჩვენთვის და მასთან ერთად მთელი ადამიანებისათვის დაუტოვებიათ, ბალკანელ სლავიანელთა კულტურულ ავლა-დიღბას ჩამოუფარდება თავისი ღირებულებით? დღეს საერთაშორისო ალში ჩვენი პატარა სამშობლოც გახვეულია ნებსით თუ უნებლიეთ.

ვინ მოსთვლის, რამდენი დაუტირალი დაგვრჩა ჭაობიან ადგილებში და პოლონეთის მიწა-წყალზე! თუ დღემდის დიდ რუსეთის მოქალაქეებთან უფლებებით არ ვიყავით თანაბარი, უბედურებაში ხომ გავთანასწორდით.

ჩვენც ხომ სისხლიდან ვიცლებით, სხვის ცოდოთა გამოსასყიდლად, სხვის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად!

გულუბრყვილო რაინდები და ჭკუა მოკლე პოლიტიკოსნი ვიყავით და ვართ დღესაც. ისეთნი, როგორც გუშინ და 5-მდე საუკუნის წინად ვყოფილვართ.

პოლიტიკა ჩვენ არასოდეს გვემარჯვებოდა. ჩვენთვის პოლიტიკა სათრიაჯანობა იყო მუდამ.

ჩვენთვის პოლიტიკური ტრაქტატების თავზე გადახვევა მოკითხვის ბარათის უკან დაბრუნებას უდრიდა. ჩვენი მინისტრები და მეფეები უფრო კაი მოშაირენი იყვნენ, ვიდრე დიპლომატები.

გულუბრყვილო რაინდები ვიყავით და ვართ, მაგრამ დღეს ერთი რამ აშკარაა: ის წყლულები, რომელიც სხვისი ტყვილების დასაამებლად გულს დაგვრჩენია, ალბად ჩვენ საკუთარ სხეულსა და ჩვენ საკუთარ ეროვნულ „მე“-ს გაგვასხენებს.



თუ ჩვენ თავს, ჩვენ ეროვნულ უფლებებს ვადაგასულ თამასუქებით არ მივივიწყებთ, ესეც კარგი იქნება.

მსოფლიო ომი ასე თუ ისე გათავდება.

მშვიდობიანობის კრებულზე ყველა ომში გახვეული დიდი თუ პატარა პოლიტიკური ერთეულები ხმას აღიმალელებენ თავიანთ ზარალის ანაზღაურებისათვის და თავიანთ ინტერესებს გამოამხეურებენ, თავიანთ სატყვივარს შესჩივლებენ იმ უფალს, უფლებათას, იმ ღმერთს სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისას, რომელსაც ერთა და ხალხთა სინდისი უნდა ვუწოდოთ. ჩვენ იქ ხმა არ მივივიწყებთ — რადგან სახელმწიფოებრივი ორგანო არ გაგვანჩია.

ცხადია, სხვა არავინ გაგვიხსენებს. ჩვენ მაინც ნუ დავივიწყებთ იმას, რაც შეიძლება სხვას არ გაასხენდეს. ჩვენ მაინც შევიგნოთ, რომ ჩვენი უფლებათა სფერო გვაქვს, ჩვენ უფლებათა კომპეტენცია გავგანჩიანო...

ახალი პერსპექტივები, ახალი პრობლემები და ჰორიზონტები გაიშლება მალე ჩვენს წინ. ჩვენც განახლება და მეტი სიფხიზლის გამოჩენა გვმართებს.

თვით უაღრესს სასოწარკვეთის ჟამსაც უნდა გაასხენდეს ცოცხალ ერს ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვები: „შეუძლებელი მხოლოდ მშობარას თავშია მიჩქმალული“.

**კონსტანტინე გამსახურდიას**  
„სახალხო ფურცელი“  
1917 წ. 12 თებერვალი

**© საგზირაღიული კავიები**

**პრეზიდენტი**

აქვს „შეუვალი“ აზრები,  
ამიტომაც აქვს ზოგი,  
აჯობებდა, პრაფესიით,  
ყოფილიყო სექსოლოგი...

**განათლების მინისტრს**

თუ ცოდნას ფული ხელს უშლის,  
მაშინ შენს ხელფასს რა ვუყოთ,  
ხომ არ აჯობებს, პედაგოგს  
ხელფასი შუა გავუყოთ.  
ნაცვლად იმისა, ეზრძოდე  
აყვიობას და მათას,  
ვერ გამოვიდა, რას ერჩი  
ქართულ „პაგიოგრაფიას“  
სადარლოდ ისიც გვეყოფა,  
რაც დავგვიტოვა მიშამა,  
ვერც ის გავიგე, რა მოხდა,  
„კომბლემატ“ რა დაგიბავა.

**შალვა ნათელაშვილს**

ჭონიკანის დონე დარჩი,  
აღარა ჭრის შენი ფიცი,  
ხან ერთს ამბობ, ხან მეორეს,  
თავად რა გსურს, არც შენ იცი.  
...  
დაეხსენი პოლიტიკას,  
ხომ ხედავ რომ ვერვინ გიტანს...

**ივანიშვილის ბრალია**

კახეთი სეტყვამ დასეტყვა,  
გვამცნობს გაზეთი „ალია“  
ბუნება რომ გვიმზარბდება,  
ივანიშვილის ბრალია.  
გუშინ რომ ვანოს ვეძახდით,  
დღეს თვალმზრიალა ქალია,  
„კესარიები“ მომზარვლდნენ  
ივანიშვილის ბრალია.  
კაზინოებში წაგებულს

დაელო მანვის ვალია,  
სახლი რომ გააყიდინეს,  
ივანიშვილის ბრალია.  
გიგი და მიშა დაშორდნენ,  
მტერსაც დაუდგეს თვალთა,  
„ნაცმო“ რომ ორად გაიყო,  
ივანიშვილის ბრალია.  
კახეთში გამოჩენილა  
ამერიკული კალია,  
აქაც მაგისი ხელია,  
ივანიშვილის ბრალია.  
მიხო რომ ღვინით დაიხრჩო,  
რადგან ზედმეტი დალია,  
ოპოზიციის გაგებით,  
ივანიშვილის ბრალია.  
არ მიკვირს, ცრუ ბრალდებები  
ისევ და ისევ გამზარვლდეს,  
მთვარის და მზის დაბნელებაც,  
რომ ივანიშვილს დაბრალდეს.  
**აორის ფორცხვირაშვილი**

მომავალი

ქართული - უდანაკარგოდ

სტამბოლში ჩოგბურთულ ქალთა საერთაშორისო ტურნირს (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) მასპინძლობს და შეჯიბრებაში ორი ქართველიც მონაწილეობს. ეკატერინე გორგოძე ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტია. პირველ წრეში მან ფრანგი მანონ პერა დაამარცხა - 6:2, 6:3, ხოლო მეორე რუსი ვასილისა აპონასენკო დაჯაბნა - 6:3, 6:2. მარიაშ ბოლქვაძე მე-2 ნომრადაა განთესილი. სტარტზე მან პაულინა ბაკაიტის (ლიტვა) აჯობა - 7:5, 6:1, მეორე წრეში კი ანეტ მუნოზოვას (შვედეთი) სძლია - 6:2, 6:1. ჩვენებურები წარმატებით გამოდიან წყვილთა ტურნირშიც, სადაც გორგოძე და ბოლქვაძე შეჯიბრების პირველი ნომრები არიან. მეოთხედფინალში მათ ბოიანა მარინკოვიჩსა (სერბეთი) და




კერსტინ პესკლს (ავსტრია) მოუგეს - 6:2, 6:7, 10:2, ნახევარფინალში მანონ პერა-სა და კაროლინ რომეოს (ორივე-საფრანგეთი) დუეტი ჩამოიშორეს გზიდან - 6:3, 3:6, 10:4 და გადაწყვეტ პაექრობაში პეტრა არშინკოვასა (ბულგარეთი) და იფექოზის (თურქეთი) შეხვედებიან.

ლემსო ცინცაძე

ლეგიონარი

შერმადინი ალაგაელია

საბარძეველი ეროვნული ნაკრების ცენტრი გიორგი შერმადინი „უნიკასა მალაგაში“ გადავიდა. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი აცხადებს. შერმადინმა თავის ყოფილ გუნდთან „ანდორასთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. „უნიკასასთან“ ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით უცნობია. შეგახსენებთ, რომ განვლილ სეზონში შერმადინმა საუცხოოდ ითამაშა და ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო სიბოლოურ ხუთეულში მოხვდა, თანაც თავის საუკეთესო მოთამაშედ სამჯერ აღიარეს. შერმადინი 2007 წელს „პანათინაიკოსის“, ხოლო 2013 წელს „ოლიმპიკოსის“ მაისურით ევროლიგის ჩემპიონი გახდა. გიორგის ასევე უთამაშია თელ-ავივის „მაკაბიში“, „სარაგოსაში“, „კანტუსა“ და „ოლიმპიაში“.



ვიტალი ჯაფარიძე

ჯოკოპირი გულბის შესვლა



დღივ სლემის 12-გზის ჩემპიონმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა უიმბლდონის 1/32-ფინალში ადამ პავლაშევი იოლადა 6:2, 6:2, 6:1 დაამარცხა. შეხვედრა საათსა და 36 წუთს გაგრძელდა.

მომდევნო ეტაპზე „ნოლეს“ მეტოქე ლატვიელი ერნესტ გულბისი იქნება, რომელმაც ხუან მარტინ დელ პოტრო მოულოდნელად მარტივად 6:4, 6:4, 7:6 დაჯაბნა. ურთიერთშეხვედრებში სერბი ლატვიელს 6:1-ს უგებს.

ბაჰან დოლიძე

ჭადრაკი

სიბაჰილი პრეზიდენტულად ლიდერობს

აშბრის დედაქალაქში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი - ბათუმის მუნიციპალიტეტის თასი - 2017. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უფროსი თაობის მოჭადრაკეები, ასევე, 8-12 წლის გოგობიჭები.

მთავარ ტურნირში 10 ქვეყნის 50 წარმომადგენელი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. ხუთი ტურის შემდეგ 4.5 ქულით ერთპიროვნულად გიორგი სიბაჰილი დანინაურდა. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით დიდოსტატები - კონსტანტინე შანავა და დავიდ ფარავიანი (სომხეთი) ჩამორჩებიან. ცხრა მოჭადრაკემ, მათ შორის ქართველებმა - თორნიკე სანიკიძემ, თამაზ მგელაძემ და ირაკლი ახვლედიანმა 3.5-3.5 ქულას მოუყარეს თავი.

ტურნირის ბოლომდე ოთხი ტური დარჩა.

გივი ბაგვა



ფეხბურთი

სად ჩვენ, სად ევროპა

მწოდების ლიგა ეს-ესაა დაიწყო და ჩვენთვის იქვე დარჩა კიდევ უკვე მერამდენედ, ქართული ტრიო პირველივე ეტაპიდან დაემშვიდობა რანგით მეორე კონტინენტურ ტურნირს, თანაც სასტარტო რაუნდის ანტიშედეგი „გააუმჯობესა“ - 1:7-ის ნაცვლად 1:8, ხოლო ჯამში - 2:15.

თანამემამულეთაგან განსაკუთრებით ქუთაისის „ტორპედო“ გაგვანბილა, რომლისაც ეროვნული ლიგის პირველი ნახევრის ფინიშზე შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ ყველაზე უფრო გვეიმედებოდა. იმერ-



ლებს მცირედით ჩამორჩა „ბათუმი“, მათ ფონზე კი „ჩიხურას“ მიერ ავსტრიაში მოპოვებული კინკლა ქულა გამირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

„ტორპედო“ - „ტრენჩინი“ 0:3 (1:5), „იაგელონია“ - „ბათუმი“ 4:0 (1:0), „ალტასი“ - „ჩიხურა“ 1:1 (1:0).

მაშინ, როცა ფიფას რეიტინგში ათსაფეხურიანი პროგრესი და 112-ე (!) პოზიციამდე დანინაურება გვიხარია, ასეთი კრახი მოსალოდნელიც იყო. აღარაფერს ვამბობთ საქართველოს ჩემპიონატის უმდაბლეს დონესა და სხვა წვილიმანებზე.

11 ივლისს ჩემპიონთა ლიგაში „სამტრედია“ ჩაებმება „ყარაბაღთან“ შეხვედრით. აბა, თუ მიხვდებით, რა გველის?

გიორგი შოთაძე

ფუტსალი

კარკატების გავლით - ბალკანეთისკენ

რომლოც მოგესხნებათ, გაისად 30 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით სლოვენის დედაქალაქი ლიუბლიანა ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის 12-გუნდიან ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს.

მომავალი ფორუმის ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ბალკანეთში ასპარეზობის უფლება უკვე განიხილეს შესარჩევი რაუნდის გამარჯვებულებმა იტალიამ, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, პორტუგალიამ, ესპანეთმა, ყაზახეთმა და რუსეთმა, დანარჩენ ოთხ



საგზურს კი მეორეადგილოსნები, მათ შორის საქართველო და საუკეთესო მესამეადგილოსანი პოლონეთი პლეი-ოფში გაითამაშებენ, რომელიც 10-13 და 24-27 სექტემბერს გაიმართება.

გაუწყებთ შევეიცარიის ქალაქნიონში, უფვას შტაბბინაში მონაწილეი კენჭისყრის შედეგებს:

რუმინეთი - საქართველო, ჩეხეთი - სერბეთი, საფრანგეთი - სორვატეთი,

უნგრეთი - პოლონეთი. კოზა კოზახიძე

რაზი ჩვენი თაგაზია!

ქართული ტრიო სიბაჰიში

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატში მოასპარეზე ნოვოკუზნეცის „მეტალურგი“ ქვეყნის ელიტური კლუბების რიცხვს არ განეკუთვნება, მაგრამ ბოლო წლებში პროგრესირებს და შარშანდელ ჩემპიონატში თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა - მე-4 ადგილი დაიკავა. წლეულს „მეტალურგი“ უფრო მაღალი ადგილის დაკავებას გეგმავს და ამისთვის შემადგენლობას აძლიერებს. სამხრეთ-დასავლეთ ციმბირში მდებარე ამ ქალაქის კლუბის ოფიციალურ საიტზე მეტად საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა. ნიუსში წერია, რომ გუნდი სამი ქართველით გაძლიერდა და თუ ლევან დარასელიასა და ირაკლი ქორიძეს „მეტალურგში“ ადრეც უთამაშიათ, მესამე ქართველი პირველად გახდება ამ კლუბის წევრი. საუბარია გიორგი შკინინზე, ბორჯღალოსან უკანასა-

რიშზე 38 სანაკრებო კეპი და 6 ლელოა. გიორგი შკინინს თავის ხანგრძლივ კარიერაში გარემარბადაც უთამაშია, შუამარბადაც და ფულბეკის პოზიციაზეც. ირაკლი ქორიძე 32 წლისაა და შერკინების პირველი ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე ეხერხება თამაში. არც ლევან დარასელია გამომუცდელი - 31 წლის მორაგბე 6 ან 7 ნომერზე თამაშობს ხოლმე. სხვათა შორის, დარასელიასა და ქორიძის დაბრუნება სამიოდე კვირის წინათ იყო დაანონსებული, თან ითქვა, რომ „მეტალურგის“ ქომაგებს სიურპრიზი ელოდათ და დარასელია-ქორიძესთან ერთად გუნდში ძალიან ცნობილი ქართველი მორაგბე უნდა მისულიყო. როგორც ხედავთ, საუბარი შკინინის შესახებ იყო. დღეს ნოვოკუზნეცის „მეტალურგი“ კრასნოდარის „ყუბანს“ უმასპინძლებს და სამივე ქართველი თავისი ახალი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იქნება: №1 ირაკლი ქორიძე, №7 ლევან დარასელია და №12 გიორგი შკინინი.

მანუჩარ გიორგაძე



ზელზე. მოგესხნებათ, გოშა შკინინს 2007 წელს საფრანგეთის მსოფლიო თასზეც აქვს ნათამაშები და ირლანდიასთან უდრამატულეს მატჩში მეტად დასამახსოვრებელი ლელოც აქვს გატანილი. ბოლოს მან ნაკრებში 2014-ში ითამაშა, სულ კი 34 წლის მორაგბის ანგა-

© შიშვი და მოლოდინი

# ეკონომიკის განვითარების ტემპი თითქმის გაიზარდა, მაგრამ მაინც სუფაღ ვსხოვრობთ!

იმის მიუხედავად, რომ ბოლო დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით, წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკური განვითარების საშუალო ტემპი 5 პროცენტის ტოლია, ლარის კურსი კი, რომელიც მართალია მცირე, მაგრამ, მაინც გამყარებას განიცდის და 2,4 ლარის ფარგლებშია, საწვავის გაძვირებაზე მიბმულ სასურსათო საქონლის ფასების ზრდა, გაზის ტარიფის გარდაუვალი მატება და სხვა ნეგატიური პროცესები ხალხში მიმდინარეობს დადებითი შიშის ამქაფრებას.

ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის „ეისითის“ სპეციალისტების მიერ დედაქალაქში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ მოქალაქეთა 92 პროცენტის აზრით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი შეინიშნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერანაირი მაკროეკონომიკური თუ ფინანსური დადებითი ასპექტები ხალხის მთავარ შიშს, რომ ზაფხულის მაღალი ფასები ზამთრისთვის კიდევ უფრო მეტად გაიზრდება და ცხოვრებას კიდევ უფრო დაამძიმებს, ვერანაირად ვერ აქარწყლებს.

ის, რომ საზოგადოებაში ეკონომიკური პრობლემები წინა პლანზეა წამოწეული, გასაკვირი ნამდვილად არ არის, მაგრამ, ამასთან ერთად, ხალხს უამრავი სხვა სადარდებელიც აქვს. კერძოდ, 85 პროცენტის აზრით, ქვეყნის ანმყოფობა და მომავლისთვის დიდი საფრთხის შემცველია მიგრაცია, ასევე გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები (ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება, მწვანე საფარის განადგურება, მენყრები და ა.შ.), დემოგრაფი-

ული ვითარება, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შობადობის დონის შემცირება (84 პროცენტი), ტერიტორიების ოკუპაცია, აგრეთვე ბუნებრივი კატაკლიზმები (გვალვები, სეტყვა, წყალდიდობები). გამოკითხულებს შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც საკმაოდ ადარდებთ კრიმინალური დანაშაულის დონის ზრდა (59 პროცენტი), საზოგადოებაში სამოქალაქო დაპირისპირება (48 პროცენტი), ომის საფრთხე (46 პროცენტი). თუმცა კი მთელ მსოფლიოში ლამის №1 საშიშროებად მიჩნეული საერთაშორისო ტერორიზმი, თბილისელთა მხოლოდ 37 პროცენტს აშინებს.

ამდენად, გამოკითხვის შედეგების მარტივი ანალიზი მონიშნავს, რომ დედაქალაქის მოსახლეობას ყველაზე მეტად ეკონომიკური პრობლემები აწუხებს, რომლებზეც, ცხადია, სოციალური ყოფაა მიბმული.

ფასები იზრდება, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის შემოსავალი არ მატულობს, ამდენად, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, მათ შორის, საშუალო ფინანსური შესაძლებლობების მქონე ხალხში, იკლებს, რომელთა 10-15 პროცენტი, არსებითად, უკვე ღარიბთა ფენაშია გადასული. ამდენად, თუკი ეკონომიკაში ვითარება არ გამოსწორდება, დროთა განმავლობაში მდგომარეობა გაუარესდება, - აცხადებს აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე.

ბოლო თვეებში ლარის დევალვაციამ, ინფლაციის ზრდამ, რომელმაც ამჟამად 7 პროცენტს გადაჭარბა და, როგორც


შედეგი, სამომხმარებლო ფასების ზრდამ, არსებული შიშები კიდევ უფრო გაზარდა.

ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ახლო პერსპექტივაში ლარის გაუფასურება დოლარის მიმართ, კიდევ უფრო მეტად მოხდება, რის მიზეზი ამერიკის შეერთებულ შტატებში მონეტარული პოლიტიკის გატარებასთანა დაკავშირებულია. ამის შედეგად კი დოლარი არა მარტო ლარის, არამედ მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნის ვალუტის მიმართ გამყარდება და ამაზე ზეგავლენის მოხდენა საქართველოს ეროვნულ ბანკის ძალებს აშკარად აღემატება.

ამ და კიდევ მთელი რიგი მიზეზის გამო, ჩვენში დისტანცია გაჭირვებაში მყოფ და საშუალოზე შეძლებულ ხალხს, ანუ მდიდრებს შორის არათუ წლიდან წლამდე, თვიდან თვემდეც კი იზრდება, საზოგადოების ფენებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უფსკრული გაწეული ღრმავდება, რასაც სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი, ეგრეთ წოდებული ჯინის კოეფიციენტი ასახავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში ჯინის კოეფიციენტი შარშან 40-იან ნიშნულზე იყო. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, შარშან ის 0,1-ით გაიზარდა. ზემოთქმული რომ გავიმეოროთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ვექტორი მატებისკენაა მიმართული.

განმარტების სახით ვიტყ-



ვით, რომ ჯინის კოეფიციენტი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებსა თუ ჯგუფებს შორის სოციალური და მატერიალური უთანასწორობის დონის თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით შეიქმნა. ყველაზე დაბალი „0“ ნიშნულით სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით იდეალურად ერთგვაროვანი საზოგადოება აღინიშნება, „1“-ით კი - მაქსიმალურად უთანასწორო. მაგალითად, თუ ლაპარაკია 100 კაცზე, რომელთაგან ყველას ერთნაირი შემოსავალი აქვს, ამ ჯგუფში (პირობითად, ქვეყანაში) ჯინის კოეფიციენტი ნულის ტოლი იქნება, ხოლო თუ მათგან შემოსავალი მხოლოდ ერთ კაცს აქვს, მაშინ კოეფიციენტი იქნება 1 (ანუ 100 პროცენტი).

ჰოდა, ამ პარამეტრით, საქართველოში ჯინის შარშანდელი კოეფიციენტი 40. საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს ქვეყნის მოსახლეობის 21 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა, რაც არსებითად იმის მაჩვენებელია, რომ უაღრესად გაჭირვებულ პირობებში ჩვენში ყოველი მეზუფე კაცია. ეს კი, საყოველთაო აღწერის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით 800 ათასი კაცია(!!!). არადა, წინა წლებში ჯინის ინდექსს მართალია მცირედი, მაგრამ მაინც კლების ტენდენცია ჰქონდა.

თუმცა კი აუცილებლად

ისიც უნდა ითქვას, რომ საექსპერტო შეფასებით მოყვანილი მონაცემები არ არის ასპროცენტულად სანდო, ვინაიდან მაღალი სტატისტიკურ მონაცემთა არასაკმარისი საიმედოობა. ამის დასტურად აღნიშნავენ აზერბაიჯანის მაგალითს, სადაც ჯინის კოეფიციენტი 33,7 პროცენტია, თუმცა კი მოსახლეობაში შემოსავლის განაწილება იქ გაცილებით არათანაბარია.

შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების მაღალი დონით მსოფლიოში გამორჩეულ სკანდინავიის ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი საშუალო მნიშვნელობა 25 პროცენტია, ამდენად ამ მაჩვენებელთან მიახლოებას ყველანი ესწრაფვიან, სადაც კი საზოგადოების ხერხემალი - საშუალო კლასი - ან საერთოდ არ არსებობს, ანდა ისეთივე მცირერიცხოვანია, როგორც საქართველოში. მის გასაძლიერებლად კი ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო, უწინარესად კი ეკონომიკის რეალურ სექტორში მეტი სახსრების მიმართვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საპენსიო რეფორმის რაც შეიძლება მალე გატარება, სახელმწიფო ხარჯის ოპტიმიზაცია და ა.შ.

ამ რეფორმების განხორციელებას მეტი კონკრეტული საქმე სჭირდება...

ოთარ ტურაბალიძე

© ანტიკორუფცია

## ფული, რომლითაც პერაფერს იყიდი

ცოტა ხნის წინათ გერმანიაში გამოუშვეს ნულოვანი ნომინალის ევროს ბანკნოტი, რამაც ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენშიც, საგსებით გასაგები გაკვირება გამოიწვია.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ 0-ევროიანი ბანკნოტი გერმანიის მთავრობამ ევროპის ცენტრალური ბანკის ნებართვით გამოუშვა და, ისევე როგორც ყველა სხვა ღირებულების ბანკნოტს, მასაც დაცვის ყველა ხარისხი აქვს. მაგრამ ყველაზე საგულისხმო გარემოება ისაა, რომ 0-ევროიანი ბანკნოტი სინამდვილეში 2 ევრო და 50 ცენტი ღირს.

საქმე ის გასკვამა, რომ 0-ევროიანი ბანკნოტი შეზღუდული ტირაჟითაა გამოშვებული (სულ 5 ათასი ცალი), მას საკოლექციო დანიშნულება აქვს და ნუმისმატებზე სწორედ 2,5 ევროდ გაყიდვან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ არავითარი ეჭვი არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ ტირაჟის სიმცირის გამო 0-ევროიანი ბანკნოტის საბაზრო ფასი ახლო მომავალშივე შეუდარებლად მოიმატებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი სიმბოლური დატივრთვისთვის მქონე საკოლექციო ფულის ნიშნების გამოშვება გერმანელ ბანკერთა გამოგონება არ არის. ჯერ კიდევ 2003 წელს ამერიკელმა მხატვარმა ობადია ილტატამა საკუთარი ფულის ერთეული - ნონი (noney) - მოიგონა. იმისთვის, რომ საფინანსო კანონმდებლობასთან პრობლემები არ წარმოქმნილიყო, ფულის ახალ ერთეულს ნულოვანი ნომინალი ჰქონდა. 2008



წლის ამერიკის შეერთებულ შტატებში (ასევე მსოფლიოს უკლებლივ ყველა კუთხეში) წარმოშობილი იპოთეკური კრიზისის დროს, ნიუ-იორკში საქვეყნოდ ცნობილ უოლ-სტრიტის ქუჩაზე ხუმარები ხალხს 0-დოლარიან კუპიურებს ურიგებდნენ. როგორც მერე ამბობდნენ, სერიის მოყვარულებს 10 ათასზე მეტი „არაფრის მაქნისი“ კუპიურა დაურიგეს.

როგორც ჩანს, ეს იდეა დედამიწის სხვა კუთხეშიც, კერძოდ, ინდოეთში დაუფდათ ჭკუაში, თუმცა კი მას უკვე სრული სერიოზულობით მიუდგნენ: 2010 წელს, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, საგანგებოდ მექრთამე ჩინოსნების გამოსაშვარებლად, ერთ-ერთმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ 0 რუპიის ღირებულების ბანკნოტი გამოუშვა.

ეს იდეა იმდენად მიმზიდველი და კორუფციასთან საბრძოლველად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ 2015 წელს საგანგებო საიტზე შეიქმნა - zerocurrency.org - რომლის მეშვეობით მექრთამეობასთან ბრძოლის ყველა მსურველს ნულოვანი ნომინალის მქონე ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ვალუტის დაბეჭდვა შეუძლია.

ინსო ალექსანდრია

## ახალი მონეტები ქართული ვაზის თემაზე

7 ოქტომბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ქართული ვაზის თემაზე შექმნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტის რეალიზაციას იწყებს.

აღნიშნული მონეტის გამოშვებით, საქართველოს ეროვნული ბანკი ეხმაურება 2017 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში დაგეგმილ ღვინის საერთაშორისო გამოფენას, სადაც საქართველო პირველი საპატიო სტუმარი და მევენახეობა-მეღვინეობისადმი მიძღვნილი ღონისძიების მთავარი მასპინძელია.

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ქვეყნის სქემატური გამოსახულება პირობითი ჭრილით. მუქი წითელი ფერით გამოსახულია ღვინო ქვევრში. ქვევრს გასდევს ვაზის გამოსახულება. მონეტის რკალს ქვედა ნაწილში წრიულად გასდევს შემდეგი წარწერები: „საქართველო“, „2017“, „GEORGIE“ ( „საქართველო“ ფრანგულ ენაზე), „5 ლარი“.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში მდებარე ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის გრაფიკული გამოსახულება. მონეტის მარჯვენა ზედა ნაწილში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი და ლარის სიმბოლო, ხოლო რკალს წრიულად გასდევს წარწერა ფრანგულ ენაზე „საქართველო - ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრის პირველი საპატიო სტუმარი“.

მონეტა, რომლის გამოშვების რაოდენობა 1500 ცალია, იაპონიის ზარაფხანაში (Japan Mint) მოიჭრა. მონეტის სარეალიზაციო ფასი 60 ლარია და მისი შექმნა შესაძლებელია დღეიდან, როგორც ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში (მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №72), ისე ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინ მაღაზიის მეშვეობით.



# კვარიათუი არაბული კომპანია „თინ თაუარსს“ აშენებს

ბათუმში თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსის „თინ თაუარსს“ მშენებლობა დაიწყო.

სასტუმრო კომპლექსის მშენებლობით აჭარაში 30 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. სიმბოლური კაფსულა საძირკველში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ რამაზ ბოლქვაძესთან და კომპანიის გენერალურ დირექტორ ალი საიიდ სულაიმან ალსალამთან ერთად ჩაადო.

მშენებლობის პროცესში დაახლოებით 400 ადამიანი, ხოლო სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ 150 მოქალაქე დასაქმდება. სასტუმრო კომპლექსი 72,000-ზე მეტ კვ.მ. ტერიტორიაზე შენდება. პროექტი ორ ოცდარვასართულიანი და ერთი ოცსართულიანი ნაგებობების მშენებლობას ითვალისწინებს.



კომპლექსში აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ზონა, ზღვისპირა რესტორნები და კაფე-ბარები, ასევე შიდა და გარე ავტოსადგომი განთავსდება. პროექტი 2021 წლის ზაფხულში დასრულდება.

კომპანია „გრინვალ“ 2004 წელს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაარსდა. კომპანია საქართველოში 2016 წლიდან საქმიანობას. „გრინვალს“ დღემდე ასობით მილიონის ღირებულების პროექტი უკვე განხორციელებული აქვს.

# სტიქია რაჭასა და სვანეთში

ზაღაშლიბილი წვიმის გამო რაჭაში მდინარე ჩვეუროც ადიდდა, რის გამოც ონის რაიონის სოფელ ლებთან და სოფელ გონასთან დამაკავშირებელი გზა დაზიანდა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, სოფელ ლებთან დამაკავშირებელ გზას სწრაფად აღადგენენ.

„რაც შეეხება სოფელ გონას, აქ სამუშაოებს ამინდის გაუარესების გამო ვერ ვინწყებთ. მდინარის წყალმა სოფელთან დამაკავშირებელი ხიდეები წაიღო“, – განაცხადა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ.

შეგახსენებთ, რომ ქალაქ ონში მდინარე რიონის ადიდებას საავტომობილო გზები და ხიდეები დააზიანა.

მდინარემ, ასევე, დააზიანა საგლოლო-ღების საავტომობილო გზის მონაკვეთი.

ზემო რაჭაში ადიდებულმა მდინარეებმა სოფელ გონაში ორი საავტომობილო ხიდი დაანგრია. სტიქიის შედეგად კურორტ უნერაში ნაპირსამაგრი დაზიანდა, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების ნაწილი და მინერალურ წყალ „ნაპერწკალს“ მიმდებარე ტერიტორია დაიტბორა.



საავტომობილო ხიდი დაანგრია. სტიქიის შედეგად კურორტ უნერაში ნაპირსამაგრი დაზიანდა, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების ნაწილი და მინერალურ წყალ „ნაპერწკალს“ მიმდებარე ტერიტორია დაიტბორა.

კლიმატი წვიმის გამო მესტიის მუნიციპალიტეტის ოთხი სოფელი – ადიში, ჭოლაში, გაღმა ხაიში და ზედა ვედი გარესამყაროს მოწვევტილია.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ადიდებულმა მდინარემ სოფლებამდე მისასვლელი გზა და ხიდეები წაიღო.


„მულახის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ჭოლაში გადასასვლელ ხიდს ადიდებულმა მდინარემ სამაგრები და ნაპირდამცავი გაბიონი გამოაცალა, რის შედეგადაც აღნიშნული სოფლისკენ გადაადგილება შეუძლებელია. იფარის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ადიშისკენ მიმავალი საავტომობილო გზის რამდენიმე მონაკვეთი მდინარემ სრულიად გაანადგურა, არსებობს ხიდის სამაგრების განადგურების საფრთხეც. ხაიშიში ადიდებულმა მდინარემ გარე სამყაროს მოწვევტილ სოფელ გაღმა ხაიშის და სოფელ ზედა ვედის მოსახლეობა“, – ნათქვამია განცხადებაში.

სტიქიის ადგილებზე იმყოფებოდა მესტიის რაიონის გამგებელი კაპიტონ ყორყოლიანი. მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები.

# გაიგეთ როდის მოკვდებით!..

ლონდონსა და არიზონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ უფციარი სიკვდილის წინასწარმეტყველება სისხლის ანალიზით შეიძლება.

მკვლევარებმა სისხლში მარკერი აღმოაჩინეს – ესაა „ინტერლეიკინი-6“ (IL-6), რომელიც გვაფრთხილებს ადამიანის ონკოლოგიურ ან გულის პრობლემების შესახებ ჯერ კიდევ სიმპტომების გამოვლენამდე და საკმარისად შუშლად შეუძლია იმის მითითება, თუ რა სახეობის ავადმყოფობით შეიძლება დაიღუპოს ადამიანი უახლოეს ხუთ წელიწადში – ეს იქნება კიბო, გულის დაავადება თუ რომელიმე სხვა სნეულება.



მარკერის წინასწარმეტყველების სიზუსტე 80 პროცენტით ფასდება.

# „აპკონდოს სინდრომის“ საფრთხე

ამერიკის კოსმოსური კვლევის სააგენტოს (ნასა) რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიის ექსპერტების განცხადებით, ახლო მომავალში დედამიწაზე ნალექების ოდენობა კატასტროფულად მოიმატებს, რომელიც თანდათანობით გაიზრდება პლანეტის გათბობასთან ერთად. 2050 წლისთვის კი მსოფლიო ოკეანის დონე 20 სანტიმეტრით მოიმატებს. ყველაფერ ამის მიზეზია ტროპიკების თავზე მაღლივი ღრუბლების გადაადგილება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ნალექების საშუალო წლიურმა ოდენობამ მართლაც მოიმატა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მილიმეტრით. მთლიანობაში დედამიწაზე ღრუბლიანობის მხრივ ვითარება დიდად არ შეცვლილა, ამდენად, მთელი რიგი სპეციალისტის აზრით, იმის საშიშროება, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება, არ არის.



ამდენად, როგორც ჩანს, მუდმივი წვიმა, როგორც ეს უკვდავ რომანში „მარტორბის ას წელში“ გენიოს გაბრიელ გარსია მარკესს აქვს აღწერილი, ჯერჯერობით მაინც, არ გვემუქრება.

თუმცა კი ისიცაა, რომ ჩვეულებრივ, ანდა, სულაც ხანგრძლივ წვიმებს, თანდათანობით ძლიერი, მაგრამ შედარებით ხანმოკლე თქემი ჩაანაცვლებს.

# იხით თუ არა, რომ...

• მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი სანელებელია ზაფრანა, რომლის კილოგრამი 11 ათასი დოლარი ღირს, ხოლო შემდეგ მოდიან ვანილი (440 დოლარი) და კარდამონი (66 დოლარი)?

• ადამიანი მასინაც ოფლიანობს, როცა ცხელ წყალში ბანაობს, მაგრამ წონას იმითომ არ იკლებს, რომ ოფლი კი არ ორთქლდება, არამედ წყალს მიჰყვება?

• ეგრეთ წოდებულ „სოლად“ ფრენენ მხოლოდ გუნდებში მცხოვრები დიდი ფრინველები (წეროები, პელიკანები) და მხოლოდ დიდ მანძილებზე, რაც მათ ჰაერის ძაბვების „დაჭერის“ საშუალებას აძლევს, რომელსაც წინ მფრენი ფრინველის ფრთები წარმოშობენ და ამით ენერჯიას ზოგავენ?



• აღმასების მოპოვების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზეა რუსეთი (მთელი მოცულობის 29 პროცენტი!), ბოტსვანა (18 პროცენტი), შემდეგ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (10 პროცენტი), ავსტრალია (9 პროცენტი) და კანადა (8 პროცენტი)?

• შუშუნა ღვინოების კუპაჟირება პირველმა საფრანგეთის პროვინცია შამპანის ქალაქ ოვილეში ბერმა პიერ პერიონმა მოიგონა?

• მსოფლიოში პირველი სარეცხი მანქანა 1887 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიგონეს?

• მსოფლიოში ერთადერთი მდინარე, რომლის წყალი ხუთ სხვადასხვა ფერად – წითლად, შავად, მწვანედ, ყვითლად და ცისფრად მოედინება – კოლუმბიაში, ეროვნულ პარკ სიერა-დე-ლა-მარკარენაშია?

• ესპანეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის სევილიის ძველი უბნის ერთი ქუჩა იმდენად ვიწროა, რომ მისი მოპირდაპირე მხარეების სახლების აივნებზე გამოსულ შეყვარებულებს თავისუფლად შეუძლიათ... ერთმანეთის კოცნა, ამიტომაც მას „კოცნების ქუჩა“ დაარქვეს?

• ტერმინი „როკ-ენ-როლი“ 1934 წელს დაწერილი ამერიკული ჯგუფის „ბოსუელ სისტრესის“ სიმღერის სახელწოდებიდან მომდინარეობს?

**უსსოპი პალატის კონს:**  
 აშუ ფონარი - 2.3969; პირი - 2.7253;  
 ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.1081;  
 100 რუბლი - 3.9881; თურქული ლირა - 0.6596;  
 აზარბაიჯანული მანათი - 1.4158;  
 1000 სომხური დრამი - 4.9935.

**აივლი 8 ივლისისთვის**  
 ადგილობრივი საპროპორი:  
 ბაბი - ღამე +12, ღვინო +30  
 შიანი რაიონი - ღამე +10, ღვინო +26  
 ფანავალი საპროპორი:  
 ბაბი - ღამე +13, ღვინო +29  
 შიანი რაიონი - ღამე +11, ღვინო +24  
 თბილისი: ღამე +17, ღვინო +28

**დაგვიკავით, მოგვწერით:**  
 ტელ: 293-13-34,  
 599-79-76-79  
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
 და sakresp@top.ge

**საქართველოს რესპუბლიკა**  
 SAKARTVELOS REPUBLIKA  
 სულხან-საბაძე ქ. №3

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 293-13-34  
 599 36-00-35

ბასუხისმგებელი რედაქტორები:  
 გურამ გომიანოვილი  
 599 53-76-16;  
 ალექო  
 ასლანოვილი  
 599 56-81-86;  
 ბასუხისმგებელი მდივანი  
 მამუკა ვაშაქიძე  
 514 33-33-24

გამომცემლობა:  
 შპს „თანამედროვე“-ს გაზეთ  
 „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 შპს „ახალი საუკუნე“  
 იბეჭდება გამომცემლობა  
 „ქოლორ პრესში“  
 რკინიგზის ჩიხი №20

საბ. (უაქ) 070.4(479.22)  
 ს-323  
 ISSN 2233-3851  
 9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!  
 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი გაზეთია, აუსილულად წაიკითხა!**